პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ივნისი **სამშაბათი** 2012 №143 (13 749) ფასი 80 თეთრი

## შეურაცხმყოფელია, თასი ისევ დავით ყიფიანის სახელობის იყოს!

3

ლევან ყიფიანმა დაადასტურა, რომ აღარ სურს ტურნირს მამამისის სახელი ერქვას

# ხორვატია შეგვეცოდა, მაგრამ მაინც ასე ჯობია

## სუპერ მარიოს გოლი



8-9



## 2:2 ვის ახსოვდა, ესპანეთმა წვალებით მოიგო

**გასულები** ჩეხეთი, საბერძნეთი, გერმანია, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია

## პრემიერლიგა 18 აგვისტოს იწყებს

### პირველი ტურის ინტრიგა მანჩესტერ იუნაიტედი-ევერტონია

10

გამოქვეყნდა ინგლისის პრემიერლიგის 2012-13 წლების სეზონის კალენდარი. პირველ ტურში, რომელიც 18 აგვისტოს გაიმართება, ჩემპიონი "მანჩესტერ სიტი" საკუთარ მოედანზე მიიღებს პრემიერლიგაში დაბრუნებულ "საუთჰემპტონს". ტურის ცენტრალური მატჩი, წესით, "ნიუკასლსა" და "ტოტენჰემს" შორის უნდა იყოს, მაგრამ ყველაზე საინტერესო, ალბათ, ქვეყნის ვიცეჩემპიონის "მანჩესტერ იუნაიტედის" საშინაო მატჩი იქნება "ევერტონის" წინააღმდეგ. ეს ის გუნდია, რომელმაც ფაქტობრივად დააკარგვინა შარშან ჩემპიონობა სერ **ალექს ფერგიუსონის** შეგირდებს.

საინტერესო მომენტია ის, რომ "ლივერპული" პირველ სამ საშინაო შეხვედრას ჩემპიონატის უძლიერეს გუნდებთან ჩაატარებს: "მანჩესტერ სიტისთან", "არსენალთან" და "მანჩესტერ იუნაიტედთან".

მანჩესტერული დერბი "ეტიჰედ სტედიუმზე" 8 დეკემბერს გაიმართება, საპასუხო "ოლდ ტრაფორდზე" – 6 აპრილს. "არსენალი" 29 სექტემბერს შეხვდება "ჩელსის" და 17 ნოემბერს "ტოტენჰემს".

პრემიერლიგის ბოლო ტური 2013 წლის 19 მაისს გაიმართება.



## ბერლუსკონის ოთხი წელი ემუქრება

### იტალიის პროკურატურამ მილანის პრეზიდენტის დაპატიმრება მოითხოვა

გუშინ, იტალიის პროკურატურამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრისთვისა და "მილანის" პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონისთვის** სამი წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. მიზეზი ფინანსური მაქინაციებია, რომელიც ბერლუსკონის ჰოლდინგს Mediaset-ს უკავშირდება.

"მილანის" პრეზიდენტსა და მის პარტნიორებს ადანაშაულებენ ტელეტრანსლიაციების უფლებების შესაძენი ფასების ხელოვნურ გაზრდაში. გამოძიების აზრით, ამ უფლებისთვის გადახდილი თანხის ნაწილი, სინამდვილეში ქრთამში დაიხარჯა.

იტალიური პრესა აღნიშნავს, რომ ბერლუსკონის პრობლემები კანონთან სერიოზულად აისახება "მილანის" მდგომარეობაზე. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ფინანსურმა სირთულეებმა აიძულა გუნდი თავისი ერთ-ერთი ლიდერი **ტიაგო სილვა** პსჟ-ში გაეყიდა, მაგრამ ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა.

## ქართული ფეხბურთი

● სიტუაცია

# დავით სირაძე: აქ არავის ვჭირდები...



დავით სირაძე

"საქართველოში მხოლოდ თბილისის "დინამოში" ვითამაშებ" – **დავით სირაძე** ამ სიტყვებს "ლელოსთან" რომ ამბობდა, თურმე, თბილისურ კლუბთან სერიოზულ მოლაპარაკებას აწარმოებდა და ჩამოსვლასაც აპირებდა, მაგრამ...

"სიმართლე გითხრათ, გადაწყვეტილი მქონდა "დინამოში" დაბრუნება. კლუბიდან დამიკავშირდნენ და ეს ყურადღება ძალიან მესიამოვნა. ამ იმედად, ნალჩიკის "სპარტაკთან" მოქმედი კონტრაქტი გავწყვიტე და ამის შემდეგ გითხარით, რომ მხოლოდ თბილისის "დინამოში" ვითამაშებდი. მაგრამ საბოლოოდ, ვერ მოვილაპარაკეთ და სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდი," – ამბობს სირაძე.

30 წლის თავდამსხმელი ამჟამად უგუნდოდ არის: "მთავარია, რომ თავისუფალი აგენტი გავხდი და რამდენიმე კლუბი დაინტერესდა. ახლა უკვე უკრაინულ და აზერბაიჯანულ გუნდებში მოწყობას მთავაზობენ - დასამალია არ არის, "ნეფთჩი" და "ბაკი" მიწვევენ და საკმაოდ კარგ პირობებსაც მთავაზობენ. დღე-დღეზე გადაწყდება, სად ვითამაშებ.

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ – ტყუილად ნურავინ ელოდება, რომ ფსევდოპატრიოტული გამოხდომებით თავს გამოვიჩენ. ჩემზე მეტად არავის უნდოდა, რომ საქართველოში დავბრუნებულიყავი, აქაურობა სულ მენატრება, მაგრამ ფეხბურთელების მთავარი საზრუნავი კარიერის შემდგომი ცხოვრებაა და ამისთვის საფუძველი წინასწარ უნდა ჩაყარო. სამწუხაროდ, საქართველოში საინტერესო წინადადება ჯერ არ მქონია და ამიტომაც თამაშს კვლავ უცხოეთში ვაპირებ. ახლა კი ინდივიდუალურად ვემზადები და ვცდილობ, საჭირო მომენტისთვის მზად ვიყო", – გვითხრა სირაძემ.

ჩვენი სირცხვილია, საქართველოში ერთი კლუბიც ვერ გამოჩნდა, საქართველოს ნაკრების თავდამსხმელს ხეირიან წინადადებას რომ შესთავაზებდა. თუმცა, ეს სამწუხარო რეალობაცაა...

**მერაბ მამულაშვილი**

● ევრო 2012

# რა დაესიზმრათ უკრაინის ქომაგებს?

**19 ივნისს დონეცკში დონბას-არენაზე ჩატარდება ინგლისი-უკრაინის ნაკრებთა შეხვედრა, რომლის ვერმოგება უკრაინისათვის კატასტროფული იქნება. ამ მატჩზე დონეცკში ანშლაგს ელოდებიან.**

აქ ჩამოსული არიან უკრაინის ფანები კიევიდან, ლვოვიდან, ხარკოვიდან, ოდესიდან, სევასტოპოლიდან და სხვა ქალაქებიდან. დონეცკის ქართული დიასპორა ასევე აქტიურად ქომაგობს უკრაინის ნაკრებს. როგორც დონეცკის ოლქის ქართული დიასპორის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და აქაური ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის "რუსთაველის" პრეზიდენტმა **სოსო მაჭავარიანმა** (წარმოშობით ქობულეთელია, ყოფილი კალათბურთელი და ხელბურთელი, 40 წელიწადია მუშაობს დონბასში) გვითხრა, დონეცკის ოლქში ოფიციალური მონაცემებით 7 ათასამდე ცხოვრობს, რეალურად კი უფრო მეტი.

ქალაქში აშკარად იგრძნობა, რომ მოსახლეობა ფეხბურთის მოლოდინით ცხოვრობს. დონეცკი ხომ უკრაინის ბარსელონად ითვლება. თუმცა აქ და განსაკუთრებით კიევიდან ჩამოსულ ქომაგებს უკვირთ, რატომ აირჩიეს დონეცკი ამ მატჩების ჩასატარებლად? დონეცკში უკრაინის ნაკრები ტრადიციულად წარუმატებლად თამაშობს. მაგრამ აქ იმედოვნებენ, ინგლისთან ეს ნავსი გატყდება და უკრაინა მოიგებს ამ გადამწყვეტ შეხვედრას.

ინგლისელი ქომაგები, რომლებიც ახლა დონეცკში არიან, ჯერჯერობით მშვიდად იქცევიან. ადგილობრივმა ხელისუფლებამ წესრიგის დასაცავად დამატებითი ზომები მიიღო. ჩვენ ამას აშკარად ვხედავთ - დონბას-არენიდან 200 მეტრის მოშორებით ვართ დაბინავებულები და აქედან ხელისგულივით მოჩანს სტადიონი. უკრაინის მილიციის პოლკოვნიკმა გვითხრა, რომ მატჩის დაწყებამდე 4 საათით ადრე მანქანებისათვის სტადიონთან მისასვლელი ყველა მიმდებარე ქუჩა გადაიკეტება. მაყურებლის კონტროლი და შემოწმება გაძლიერდება, რაც არავისთვისაა გასაკვირი.

არავინ იცის, რას მოიმოქმედებენ უკრაინის ნაკრების ქომაგები მათი გუნდის წარუმატებლობის შემთხვევაში - საფრანგეთთან მარცხი თუ აპატიეს, ეს არ ნიშნავს, რომ ასევე მშვიდად შეეგუებიან ინგლისთან წაგებას. ამის განცდა მათ სიზმარშიც არ სურთ.

**თენგიზ პაქკორია,**
დონეცკიდან,
სპეციალურად "ლელოსთვის"




● სავარაუდო ტრანსფერი

# კოშკაძე და ბერაია ქიაფაზის სამიზნეში



ალექსანდრე კოშკაძე

აზერბაიჯანული "ექსტრატაიმის" ინფორმაციით, განჯის "ქიაფაზის" შემადგენლობაში **ალექსანდრე კოშკაძე** ვარჯიშობს, რომელიც ამ გამოცემას უკვე თბილისის "დინამოს" ექსკაპიტნად ჰყავს მოხსენიებული. ვარაუდობენ, რომ 30 წლის ქართველი ნახევარმცველი "ქიაფაზთან" კონტრაქტს უახლოეს დღეებში გააფორმებს. კოშკაძის გარდა, "ქიაფაზი" **გოგა ბერაიასთან** ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო მისი ძმის, **ირაკლის**, სინჯებზე მიწვევას გეგმავს.

ცნობისთვის, "ქიაფაზმა" აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში მე-10 ადგილი დაიკავა და ელიტის დატოვებას ბოლო ტურებშილა გადაურჩა.

კოშკაძემ ბოლო სეზონები "დინამოში" გაატარა. რაც შეეხება გოგა ბერაიას, გასული სეზონის პირველი ნახევარი მან "დინამოში" დაჰყო, ხოლო მეორე – "ზესტაფონში", თუმცა ფეხის მოკიდება ვერც ერთში ვერ შეძლო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ლელოს ფოტოკორესპონდენტის საჩუქარი შახტარს

18 ივნისს შევხვდი საფეხბურთო კლუბ დონეცკის "შახტარის" მუზეუმის დირექტორ **ანდრეი ბაბეშკოს** და საჩუქრად გადავეცი "ლელოს" ვეტერანი ფოტოკორესპონდენტის **ალექსანდრე კოტორაშვილის** მიერ 1970-80-იან წლებში თბილისში, "დინამოსა" და "შახტიორის" შეხვედრების დროს გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც ავტორმა დონეცკში "შახტიორისათვის" საჩუქრად გაგვატანა.

მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს "შახტარის" მუზეუმი. გვაჩვენეს დარბაზი, სადაც გამოფენილია "შახტიორის" ყველა დროის ფეხბურთელების სურათები. მათ შორის არიან ქართული ფეხბურთის წარმომადგენლები: **ვახტანგ ხაჭაპურიძე, ვლადიმერ მარლანია, ნიკოლოზ ვარდიმიადი, ანზორ ჩიხლაძე, გიორგი ჩიხრაძე, იური გაბისკირია, მიხეილ ფოცხვერია** და **გიორგი ციმაკურიძე**, რომლებიც სხვადასხვა დროს ამ კლუბში თამაშობდნენ.

მუზეუმის დირექტორმა აღნიშნა, რომ დიდი სიამოვნებით მიიღებდა საქართველოდან "შახტიორთან" დაკავშირებულ საინტერესო ფოტო-ვიდეო მასალებს. გვთხოვა მისგან დიდი მადლობა გადავცეთ "ლელოს" ფოტორეპორტიორ სანდრო კოტორაშვილს უანგარო საჩუქრისათვის.

**თენგიზ პაქკორია**
დონეცკიდან

● დინამო

# მზადებას გვიან იწყებენ

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, გუნდი ახალი სეზონისთვის მზადებას 24 ივნისიდან დაიწყებს.

გუნდი 5 ივლისამდე დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოემზადება, შემდეგ კი ბაკურიანში ერთკვირიან შეკრებას გაივლის.

მზადების მომდევნო, ორკვირიანი ეტაპი 15 ივლისიდან სლოვენიაში დაიგეგმა.

მაგრამ რა შემადგენლობით წარდგება გუნდი ახალ სეზონში, ვინ დაიმატეს და ვის უშვებენ, ამის შესახებ ვებგვერდი არაფერს იუწყება.

ბევრია დამოკიდებული ახალ მთავარ მწვრთნელებზე – მამა-შვილი **დუშან უჰრინები** "დინამოსთვის" ახალწვეულებს ჩეხეთშიც ეძებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია

# შოთა გრიგალაშვილი: დინამოში არ გადავდივარ!



შოთა გრიგალაშვილი

**შოთა გრიგალაშვილს** "ზესტაფონთან" კონტრაქტი პირველ ივლისს უმთავრდება, თუმცა დიდი შანსია, რომ ევროტურნირებზე კვლავაც ამ გუნდში ვიხილოთ. ახალი სეზონისათვის მზადება "ზესტაფონმა" 11 ივნისს დაიწყო, მაგრამ გრიგალაშვილს მცირე ტრავმა ჰქონდა და გუნდს მხოლოდ ორი დღის წინ შეუერთდა.

შოთა გრიგალაშვილმა "ლელოსთან" საუბარში თბილისის "დინამოში" გადასვლაზე გავრცელებული ხმები უარყო და განაცხადა, რომ ამ თვის ბოლოს მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ სად გააგრძელებს კარიერას.

"ზესტაფონი" უცხოურ (ავსტრიაში) შეკრებაზე 25 ივნისს მიემგზავრება და შოთა გრიგალაშვილიც გუნდთან ერთად იქნება.

**მაგდა კლდიაშვილი**

● სამინისტროს თასი

# იმერეთს სამტრედია წარმოადგენს

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რეგიონებს შორის იმერეთი მოსახლეობით ყველაზე ხალხმრავალია, სამხარეო სპორტული ასპარეზობები აქ გამორჩეულად საინტერესოდ მიმდინარეობს, რასაც მონაწილე გუნდების სიმრავლეც განაპირობებს. ასე იყო მინიფეხბურთში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თასის გათამაშებაშიც, რომელიც ქუთაისში სპორტის სასახლეში გამართული ფინალით დასრულდა.

გადამწყვეტ შეხვედრას, რეგიონებს შორის გამარჯვებულთა ფინალური ტურნირის მონაწილე უნდა გამოევლინა - ადგილობრივი „ქუთაისი" მეზობელი ქალაქის „სამტრედიას" დაუპირისპირდა. სამტრედიელები საერთოდ, ტურნირს კარგად მომზადებულები შეხვდნენ — რეგიონში უძლიერესის სახელი და თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე მონაწილეობის უფლება მათ ღირსეულად მოიპოვეს. რეგიონული ტურნირის ფინალი 'სამტრედიამ" 3:1 მოიგო.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**
ქუთაისიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო-2012 სპეციალისტის აზრი



## გაიოზ დარსაძე
# გრანდები მეოთხედფინალში, სიმპათია და თანაგრძნობა ხორვატიას

**ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი დასასრულს უახლოვდება და დღეს უკვე ყველა მეოთხედფინალური წყვილი გვეცოდინება. A, B და C ჯგუფებში განვითარებული მოვლენების შეფასება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორსა და მწვრთნელთა განათლების პროგრამის ხელმძღვანელს, გაიოზ დარსაძეს ვთხოვეთ.**

### A ჯგუფი

რუსეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი შთამბეჭდავად დაიწყო და თითქოს მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ტურიდან ტურამდე თამაშის ხარისხს უკლო და საბოლოოდ, პლეი ოფს მიღმა დარჩა.

საბერძნეთმა კი პატარა სასწაული მოახდინა. ამ გუნდმა რუსეთის წინააღმდეგ საოცარი ჟინითა და შემართებით ითამაშა და ბერძნები, რომლებიც ბოლო ტურის წინ ჯგუფში ბოლო ადგილზე იყვნენ, მეოთხედფინალში დამსახურებულად გავიდნენ. საბერძნეთის ნაკრების ლიდერობა შესანიშნავად გასწია **გეორგიოს კარაგუნისმა**, რუსებს კი ამ მატჩში ასეთი ფეხბურთელი არ აღმოაჩნდათ.

ვფიქრობ, ჯგუფიდან ჩეხეთის გასვლაც ლოგიკური იყო. ჩეხებმა დაამტკიცეს, რომ პოლონეთზე უკეთესი გუნდი ჰყავთ, პოლონელებს კი გამარჯვება, უპირველესად, ევროპის ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრაში მართებდათ, როცა ბერძნებთან დაპირისპირებაში ვერც ხელსაყრელი ანგარიში შეინარჩუნეს და ვერც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს.

მთლიანობაში, ამ ჯგუფში ვერ დავინახე ისეთი გუნდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

### B ჯგუფი

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გერმანიის ნაკრები არის კარგად აწყობილი მანქანა, რომელსაც ძნელია, რაიმე ნაკლი მოუძებნო. გერმანელებს ძალიან დაბალანსებული გუნდი ჰყავთ და ძლიერი შემსრულებლები ყველა რგოლში მოეძებნებათ. ბოლო წლებში გერმანიის ნაკრები საოცარი სტაბილურობით გამოირჩევა, რითაც მსოფლიოში ძალიან ცოტა გუნდი თუ დაიკვეხნის. ძალიან მომწონს ისიც, რომ გერმანიის ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი თითქმის ყოველთვის უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

იმის მიუხედავად, რომ დანიასთან მატჩში ფრეც ჰყოფნიდა, გერმანიამ გამარჯვებაზე ითამაშა და ჯგუფიდან უდანაკარგოდ გავიდა. ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია.

ჰოლანდიის ნაკრების ჩავარდნას კი, უპირველესად, სასტარტო შეხვედრაში განცდილ მარცხს მივაწერ. გუნდმა, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უმაღლეს დონეზე განვლო, დანიასთან მარცხი ძალიან მტკივნეულად მიიღო. როგორც ჩანს, ჰოლანდიელებმა საკუთარი ძალების რწმენა დაკარგეს და ეს მათ შედეგებზე უარყოფითად აისახა.

პორტუგალიის ნაკრები კი საკმაოდ ძლიერია იმისთვის, რომ მხოლოდ მეოთხედფინალში გასვლას არ დასჯერდეს. **კრიშტიანუ რონალდუმ** სკეპტიკოსებს დაუმტკიცა, რომ გადამწყვეტ მომენტში ლიდერისა და კაპიტნის ტვირთის ზიდვა მაღალ დონეზე შეუძლია. როცა გუნდში ასეთი ვარსკვლავი გყავს, ბევრის მიღწევა შეგიძლია.

### C ჯგუფი

სიტყვები არ მყოფნის, ისე აღფრთოვანებული ვარ ხორვატიის ნაკრების თამაშით. **სლავენ ბილიჩის** გუნდმა საოცარი ბრძოლისუნარიანობის მაგალითი გვიჩვენა და ამასთან ერთად, მაღალი საფეხბურთო კლასიც გამოავლინა. ხორვატია, რომლის შემადგენლობიდანაც **ლუკა მოდრიჩსა** და **დარიო სრნას** გამოვარჩევ, ესპანეთს აბსოლუტურად ტოლ-სწორად ებრძოლა და იკერ კასილასს რომ არ ევაჟკაცა, მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონები, შესაძლოა, შინ ნაადრევად გამგზავრებულიყვნენ.

ჩემი აზრით, მატჩის გარდამტეხი მომენტი ბილიჩის მიერ განხორციელებული შეცვლა იყო, როცა საყრდენი ნახევარმცველი მოხსნა და თავდამსხმელი დაამატა. ამით ესპანელებმა კარგად ისარგებლეს და მოედნის ცენტრში გაბატონდნენ. სახიფათო მომენტებიც ამის შემდეგ შექმნეს და გამარჯვების გოლიც გაიტანეს.

სამაგიეროდ, სწორი გამოდგა **ვისენტე დელ ბოსკეს** მიერ განხორციელებული ცვლილება. მოედანზე **ფერნანდო ტორესის** ნაცვლად შესულმა **სესკ ფაბრეგასმა** თამაში გამოაცოცხლა და ესპანელთა შემტევი პოტენციალი კიდევ უფრო გააძლიერა.

ესპანეთმა ამ გამარჯვებით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ფინალისკენ მიმავალი გზა შედარებით გაიმარტივა, ხორვატიის ნაკრებზე კი გული ძალიან დამწყდა. ისლა დამრჩენია, ამ სიმპათიურ და ძლიერ გუნდს ვუთანაგრძნო. ამავდროულად, ვერ ვიტყვი, რომ იტალიას მეოთხედფინალში გასვლა არ დაუმსახურებია. სხვა რომ არაფერი, მან ხომ ესპანეთთან ფრეს მიაღწია და ძალიან მძიმე ჯგუფში სწორედ ეს გამოდგა გადამწყვეტი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

უხერხული სიტუაცია

# ლევან ყიფიანი: შეურაცხმყოფელია, თასი ისევ დავით ყიფიანის სახელობის იყოს!



**საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი – ჯერაც ასე ჰქვია საქართველოს თასის გათამაშებას და შესაძლოა, მალე ეს სახელი აღარ ჰქონდეს.**

ამ ტურნირს ლეგენდარული **დავით ყიფიანის** სახელი 2002 წლიდან დაერქვა და რამდენიმე ფინალი ისეთი გამოდგა, დიდი მითქმა-მოთქმა რომ გამოიწვია. წლეულს ფინალში გორის "დილა" და "ზესტაფონი" შეხვდნენ, თასი "დილას" დარჩა, მაგრამ...

ერთი სიტყვით, წლევანდელი ფინალი სამარცხვინო გამოდგა და ამ ყველაფერმა დავით ყიფიანის ოჯახის სამართლიანი შეშფოთებაც გამოიწვია. ლეგენდარული ფეხბურთელის შვილმა **ლევან ყიფიანმა** "ლელოსთან" საუბარშიც დაადასტურა, რომ აღარ სურს, ტურნირს ისევ მამამისის სახელი ერქვას:

*"ალბათ მომიწევს, ფეხბურთის ფედერაციას რომ მივმართო ამასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რაც წლევანდელ ფინალში მოხდა, შეურაცხმყოფელია, რომ ეს თასი დავით ყიფიანის სახელობის იყოს. საქმეს ოფიციალური მსვლელობა უნდა მივცეთ და ვაპირებ, რომ იურისტებთან გავიარო კონსულტაციები, უნდა დავა ზუსტო, რამდენად შესაძლებელია, რომ ოჯახმა იმას მიაღწიოს, ამ ტურნირს დავით ყიფიანის სახელთან არანაირი კავშირი აღარ ჰქონდეს."*

მოკლედ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ფეხბურთის ფედერაცია ამ ყოველივეს გამო მართლაც უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგან თუ გაითვალისწინებს დავით ყიიფიანის ოჯახის მოთხოვნას, ამით ძალაუნებურად იმის აღიარებაც მოუწევს, რომ წლევანდელი ფინალი საშინელება იყო.


ლევან ყიფიანი

**დავით თავართქილაძე**

რეგიონი

# თელავის სტადიონის რეაბილიტაცია დაიწყო
## კახეთში სასიკეთო ძვრებია

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით თელავის **გივი ჩოხელის** სახელობის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. 1968 წელს გახსნილი სტადიონი, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო მდგომარეობაში იყო და აქედან გამომდინარე, სამუშაოები საკმაოდ საფუძვლიანად უნდა წარიმართოს.

სახელმწიფოსა და სფფ-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, "გივი ჩოხელზე" უმაღლესი ხარისხის მინდვრის საფარის დაგება რამდენიმე თვის წინ გადაწყდა. თელავის სტადიონზე 200-მდე ბავშვი ვარჯიშობს და იმ მიზნით, რომ მოედანმა დატვირთვას გაუძლოს, სტადიონზე ხელოვნურსაფარიან მოედანს დააგებენ. მთავარი მოედნის გვერდით მდებარე ბუნებრივი საფარი კი შენარჩუნდება და მოწესრიგდება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ძირითად მოედანზე ხელოვნურსაფარიანი მინდვრის დაგებას ის ბერძნული კომპანია უზრუნველყოფს, რომელმაც საქართველოს მასშტაბით უკვე არაერთი მოედანი გააკეთა. დამხმარე მოედანს კი სფფ-ის სპეციალისტები მათ ხელთ არსებული სპეცტექნიკით გააკეთებენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე კი ის არის, რომ კახეთის რეგიონულ ფედერაციას დაევალა, მომავალი სეზონიდან საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში აუცილებლად გამოიყვანოს ერთი გუნდი. როგორც იცით, ბოლო წლებში კახეთს უმაღლეს და პირველ ლიგაში წარმომადგენელი არ ჰყოლია.

სფფ-ის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის პატარა ფეხბურთელებს საჩუქრად ახალი ბურთები გადასცა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


თელავში სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო
ფოტო: www.gff.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველმოქმედება


მარცხნიდან: დავით სირაძე, აკაკი ხუბუტია, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ფოფხაძე

# სიკეთის ძალა

**წლეულს, 13 თებერვალს ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდის წევრი, 22 წლის ნიკა მახვილაძე. გადაუდებელი ოპერაციის ჩატარების მიუხედავად, მას მკერდს ქვემოთ მგრძნობელობა დღემდე დაკარგული აქვს. თუმცა, გამოჯანმრთელების იმედი არის, რასაც გვარიანი თანხები სჭირდება.**

ფეხბურთის სამყარომ მახვილაძის დახმარება გადაწყვიტა. ამ მიზნით, გუშინ სპორტკომპლექს "არენაში" საქველმოქმედო მატჩი გაიმართა – ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მოთამაშეებით გაძლიერებული თსუ (ფუტსალი) საქართველოს ნაკრებს შეხვდა. ამ საქველმოქმედო მატჩში მონაწილეობდნენ: **ზურაბ ხიზანიშვილი, აკაკი ხუბუტია, გიორგი ფოფხაძე, ლევან მჭედლიძე, დავით სირაძე,** ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, ფუტსალის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეული **ლევან ცქიტიშვილი.**

შედეგს მნიშვნელობა არც აქვს. ეს იყო სიკეთისა და ადამიანური თანადგომის დღე და სასიხარულოა, რომ ამ მატჩში მონაწილეთაგან უცნობი ფეხბურთელის თანადგომის სურვილი ბევრს აღმოაჩნდა.

**ზურაბ ხიზანიშვილი(საქართველოს ნაკრების კაპიტანი):** *"ნიკას არ ვიცნობდი, მაგრამ ერთ-ერთ სოციალურ ქსელზე თანადგომის მოწოდება რომ გაავრცელეს, მატჩში მონაწილეობა გადავწყვიტე. ჩვენი ფასი თეთრიც არ იქნება, ასეთ დროს ადამიანს გვერდში თუ არ დავუდგებით. მჯერა, ნიკას ფეხზე დასაყენებლად საჭირო თანხას შევაგროვებთ და მალე გვერდიგვერდ ვითამაშებთ. დღეს კი, სამწუხაროდ, ისევ მძიმედ არის".*

**რევაზ არველაძე** (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი): *"საქველმოქმედო მატჩი ნიკა მახვილაძის მეგობრების იდეა იყო. როდესაც ასეთ ამბავს იგებ, ვალდებული ხარ, მონაწილეობა მიიღო. ჩვენ ჩართულები ვართ ამ საქმეში და შევეცდებით, ნიკას მაქსიმალურად გვერდში დავუდგეთ. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს თანადგომა ყოველგვარ ფინანსურ დახმარებაზე მეტიც არის, რადგან ნამდვილი ადამიანობისა და მეგობრობის გამოვლენაა".*

*"კეთილი საქმე განსაკუთრებით მათთვის უნდა ვაკეთოთ, ვისგანაც საპასუხო სამადლობელს არ ველოდებით,"* – გუშინდელი შეხვედრა ერთ-ერთმა გულშემატკივარმა უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II ამ სიტყვებით საუკეთესოდ შეაფასა.

ასეც იყო, ადამიანი ჭირში იცნობა და სასიამოვნოა, ეროვნული ნაკრების წევრები მათთვის უცნობ ახალგაზრდას გვერდში საკუთარი სურვილით რომ დაუდგნენ.

და რაც მთავარია: როგორც შევიტყვეთ, ამ საქველმოქმედო მატჩისა და სოციალურ ქსელებზე წამოწყებული კამპანიის შედეგად, ნიკა მახვილაძის ოპერაციისთვის აუცილებელი თანხის დიდი ნაწილი შეგროვდა – აქცია კი კვლავ გრძელდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ბაია

# სიახლეების მოლოდინში

**გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, თბილისის "დინამო" რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელთან დაშორებას აპირებს და კონკრეტული გვარებიც დასახელდა. მარჯვენა მცველი დავით ოდიკაძე და შემტევი ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე.**

ორივე გამოცდილი მოთამაშეა და იქიდან გამომდინარეც, რომ წლებია, ქართული საფეხბურთო ბრენდის მაისურით თამაშობენ, ორივეს მიმართ საკმაოდ დიდი ინტერესია.

გავრცელდა ცნობა, რომ მათ გადაყვანას მადაალძრული ზუგდიდის "ბაია" სთავაზობდა. მათ გარდა, ამტკიცებდნენ, რომ "ბაიაში" ბოლნისის "სიონის" ნახევარმცველ **დავით ბოლქვაძეს,** "ბაიას" ყოფილ კაპიტან **როინ ონიანს,** "ჩიხურას" პლეიმეიკერ **გოგი ფიფიასა** და რუსთავის "მეტალურგის" მცველს, **სევასტი თოდუას** ელოდებიან.

ინფორმაცია ოდიკაძესთან გადავამოწმეთ: ითქვა, რომ დათომ თავად გამოთქვა განათხოვრების სურვილი, ნახევარ ხელფასს კი "დინამო" გადაუხდისო.

30 წლის მოთამაშემ "ბაიაში" გადასვლა უარყო: *"მე ახლაც "დინამოს" ფეხბურთელი ვარ და ზუგდიდში არავის მივუწვევივარ. გუნდი 24 ივნისისთვის შეიკრიბება და მეცოდინება, დავრჩები თუ არა კლუბში. დასამალი არაფერია, მაგრამ მოლაპარაკება მართლაც არ მქონია".*

ზუგდიდის "ბაიას" მწვრთნელმა, **ელგუჯა ქომეთიანმა** კი მათ მიმართ ინტერესი დაგვიდასტურა: *"გაურკვევლობა რომ არ წარმოიქმნას, გეტყვით, რომ ოთხივე მოთამაშე ჩვენს მონახაზში ზის, რადგან, ზუგდიდელი გულშემატკივრის სასიხარულოდ, სასიკეთო ძვრების მოლოდინში ვართ. არა მხოლოდ ამ ოთხეულის, კიდევ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის ჩამოყვანაზეც ვზრუნავთ. მათ საკუთარი პირობები უნდა გაგვაცნონ. მაგრამ ჯერ ეს ყველაფერი მხოლოდ მონახაზია და სეზონს რა შემადგენლობით დავიწყებთ და სასურველი ფეხბურთელებიდან ვის დავიმატებთ, ჯერ ნამდვილად არ ვიცი. მათგან ზოგიერთს დაველაპარაკეთ, ზოგს ახლა დავუკავშირდებით და არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს თქვენ მიერ დასახელებლი ოთხეულის გადმოსვლა უკვე ფაქტია".*

**მერაბ მამულაშვილი**


ელგუჯა ქომეთიანი

ტრავმის შემდეგ

# იმედაშვილს მკურნალობა სჭირდება
## საკონსულო კი ვიზას არ აძლევს?!


დავით იმედაშვილი

**დავით იმედაშვილი ლენქორანის "ხაზარში" ორი წლის წინ ჩაირიცხა, მაგრამ ტრავმის გამო აზერბაიჯანში ერთი თვეც არ უთამაშია და კლუბის დატოვებას აპირებდა.**

თუმცა, 27 წლის უნივერსალ ფეხბურთელს ამბიციურ აზერბაიჯანულ კლუბში დაბრუნება შესთავაზეს.

*"ვარჯიში დავიწყე და ლენქორანის "ხაზარმა" ერთწლიანი კონტრაქტი მართლაც შემომთავაზა. მაგრამ სანამ მკურნალობას არ დავასრულებ, ახალ გუნდზე ლაპარაკი ნაადრევია. მკურნალობის დასრულებას ვერა და ვერ ვახერხებ. ექიმის ნებართვის გარეშე სრულ დატვირთვაზე გადასვლა არ მსურს.*

*არადა, აპრილში "ბარსელონას" ექიმს კუგატ რამოსს დავუკავშირდი. ეს კაცი "ბარსელონას" მატჩების დროს სათადარიგოთა სკამზე ზის და მისი კვალიფიკაცია აღიარებულია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მქონდა ცნობა, რომ ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში მითამაშია, ლენქორანის "ხაზარმა" დაადასტურა, რომ მკურნალობას მიფინანსებდა, ექიმმა რამოსმა კი მიწვევა გამომიგზავნა და ბარსელონაში 18 აპრილს დამიბარა. საკონსულოში საკუთარი თვალით ნახეს, რომ პასპორტში 24 ვიზა მაქვს ჩარტყმული, რომ ფეხბურთელი ვარ და არა - ევროპაში დარჩენის მსურველი.*

*ამ ყველაფერის მიუხედავად, გერმანიის საკონსულოში ვიზა არ ჩამირტყეს. არადა, ექიმმა უკვე მესამედ დამირეკა და ვერ გაიგო, თუ რატომ არ მიშვებენ. მკურნალობა დროულად რომ დამესრულებინა, შესაძლოა, ახლა გუნდთან ერთად ვარჯიშიც დამეწყო.*

*ახლა კი ყოველი დღე საკონსულოში სირბილით მეწყება, ბარსელონაში 2 ივლისს მელიან და აუცილებლად უნდა ჩავიდე,"* – ამბობს იმედაშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# გიორგი სომხიშვილი ჩიხურაში?
## ზუგდიდში კაპიტნის დაბრუნებას ითხოვენ

**უმაღლეს ლიგაში ალზევებული საჩხერეს "ჩიხურა" მეკარემ, რევაზ თევდორაძემ სეზონის დასრულებისთანავე დატოვა და კარიერას კახა ცხადაძის ბაქოს "ინტერში" გააგრძელებს.**

ცხადია, უმაღლეს ლიგაში საჩხერელებს გამოცდილი მეკარე სჭირდებათ და გუნდის მთავარი მწვრთნელი **სოსო ფრუიძე** თევდორაძის შემცვლელს ეძებდა. შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, საჩხერეში გააგრძელოს კარიერა ზუგდიდის "ბაიას" კაპიტანმა **გიორგი სომხიშვილმა.**


გიორგი სომხიშვილი

ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ და გამოცდილ მეკარესთან მოლაპარაკება ზუგდიდელებმა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

*"მე ვაჭრობა არ მიყვარს, ჩემი პირობები რომ არ დააკმაყოფილეს, წასვლა ვამჯობინე. მაგრამ მადლობა ზუგდიდელ გულშემატკივარს, რომლისგანაც უჩვეულო სითბო და სიყვარული ვიგრძენი. რაც შეეხება "ჩიხურაში" ჩემს შესაძლოა გადასვლას, საჩხერელთა წარმომადგენელი მართლაც დამიკავშირდა, მაგრამ ჯერ დავფიქრდები და ორიოდე დღეში მეცოდინება, სად ვითამაშებ,"* – ამბობს სომხიშვილი.

სომხიშვილი ზუგდიდელ გულშემატკივრებს ძალიან უყვართ და მისმა წასვლამ უჩვეულო აჟიოტაჟი და გულისწყრომა გამოიწვია.

*"ადამიანი, რომელიც ამდენი ხანი ჩვენი ქალაქის სახელს ღირსეულად იცავდა და ხშირად, უხელფასოდ თამაშობდა, ასე არ უნდა გაეშვათ, უნდა გაჰფრთხილებოდნენ. გულშემატკივრის აზრიც უნდა გაითვალისწინონ. ჩვენ კი მოთამაშით წასვლით ასეთი გაბრაზებული არასოდეს ვყოფილვართ. გიორგის არყოფნა კლუბს ძალიან ცუდად დაეტყობა",* – ვკითხულობთ ერთ-ერთი გულშემატკივრის გამოხმაურებაში, რაც საერთო განწყობილებას ასახავს.

მეტიც, ზუგდიდელმა გულშემატკივრებმა აქცია წამოიწყეს – "დავაბრუნოთ სომხიშვილი!". დამეთანხმებით, საქართველოს ჩემპიონატში რეგიონის გუნდიდან არაადგილობრივი ფეხბურთელის წასვლა მსგავს აჟიოტაჟს იშვიათად იწვევს.

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო


გივი იოსელიანი


ნიკა საბანაძე

# იოსელიანი და საბანაძე მალე ითამაშებენ

ქუთაისის "ტორპედოს" და ალბანური „სკენდერბეუს" საკონტროლო შეხვედრაში (0:2) **გივი იოსელიანსა და ნიკა საბანაძეს** არ უთამაშიათ.

"ტორპედოს" ვებგვერდის ცნობით, ეს ფაქტი იმით იყო გამოწვეული, რომ ორივე ფეხბურთელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თამაშების გამო გუნდს გვიან შეუერთდა და ჯერ სათანადო მზადყოფნაში არ იყვნენ.

სავარაუდოდ, ფეხბურთელებს უახლოეს საკონტროლო მატჩებში მიეცემათ თამაშის საშუალება.

**მერაბ მამულაშვილი**

EURO 2012 POLAND-UKRAINE

D ჯგუფი. III ტურის წინ

# ევრო 2012

19.06. დონეცკი. დონბას არენა. 22:45

**ინგლისი-უკრაინა**

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: კოული, პარკერი, კელი - შევჩენკო (?)

**ბოლო ხუთი მატჩი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ინგლისი-ჰოლანდია | 2:3 |
| ნორვეგია-ინგლისი | 0:1 |
| ინგლისი-ბელგია | 1:0 |
| **ევრო 2012** | |
| საფრანგეთი-ინგლისი | 1:1 |
| შვედეთი-ინგლისი | 2:3 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| უკრაინა-ესტონეთი | 4:0 |
| ავსტრია-უკრაინა | 3:2 |
| თურქეთი-უკრაინა | 2:0 |
| **ევრო 2012** | |
| უკრაინა-შვედეთი | 2:1 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 0:2 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინგლისი (4-2-3-1):** ჰარტი – ჯონსონი, ტერი, ლესკოტი, კოული – ჯერარდი, პარკერი, უოლკოტი, რუნი, იანგი – უელბეკი (ან კეროლი)

**უკრაინა (4-1-3-2):** პიატოვი – გუსევი, მიხაილიკი, ხაჩერიდი, სელინი – ტიმოშჩუკი – იარმოლენკო, ნაზარენკო, კონოპლიანკა – ვორონინი, შევჩენკო

**არბიტრი:** ვიქტორ კაშაი (უნგრეთი)

## ერთი შანსი ორისთვის

ინგლისისა და უკრაინის ნაკრებები ერთმანეთს ისტორიაში სულ 4-ჯერ შეხვედრიან და აქედან კუნძულელებმა პირველ სამ შემთხვევაში იმარჯვეს. უკანასკნელი მატჩი კი სწორედ უკრაინელთა ტრიუმფით დასრულდა. საინტერესოა, რომ ეს გუნდები ერთმანეთს 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც შეხვდებიან.

დღეს ჩვენსა და პარალელურად შვედეთი-საფრანგეთის დაპირისპირებებში უკანასკნელი მეოთხედფინალისტების ვინაობა უნდა გაირკვეს. ინგლისელებს პლეი ოფში გასასვლელად ქულაც ჰყოფნით, უკრაინას კი მიზნის მისაღწევად მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. მასპინძელთა მდგომარეობას ორი ფაქტორი ამძიმებს: დისკვალიფიკაცია მოიხადა და შემადგენლობას უბრუნდება **უეინ რუნი** და პირიქით, ტრავმირებულია და საეჭვოა მოედანზე **ანდრეი შევჩენკოს** გამოსვლა. გუშინწინ და გუშინ ვეტერან თავდამსხმელს არ უვარჯიშია.

წინასწარ ძალიან ძნელია იმის თქმა, ვის დააყენებს **როი ჰოჯსონი** რუნის გვერდით, რადგან შვედებთან გოლი **ენდი კეროლმაც** გაიტანა და **დენი ეულბეკმაც**. მუხლის ტკივილის გამო კვირას არ უვარჯიშია "არსენალის" შემტევ ნახევარმცველ **ტეო უოლკოტს**, თუმცა, სამწვრთნელო შტაბში იმედი აქვთ, რომ 23 წლის ვარსკვლავი ძირითადში იქნება. "ტრე კრუნურთან" ხომ მან შეცვლაზე შესულმა ნახევარ საათში გოლიც გაიტანა და საგოლე გადაცემაც მიითვალა და ზოგადად, "სამი ლომის" შემადგენლობაში საუკეთესოდ იყო. თუკი ტეომ მაინც ვერ შეძლო თამაში, სასტარტოში ისევ **ჯეიმს მილნერი** დადგება. ინგლისელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ ამ უკანასკნელმა, შესაძლოა, **ეშლი იანგიც** შეცვალოს, რადგან "იუნაიტედის" ფეხბურთელს აქამდე გუნდისთვის სასარგებლო არაფერი გაუკეთებია. *"სამწუხაროდ, ტეოს ძველი ტრავმის რეციდივი აქვს. მას სწორედ ის მუხლი სტკივა, რის გამოც სეზონის ბოლოს რამდენიმე მატჩი გამოტოვა. გაგვიმართლა, რომ სერიოზულ დაზიანებას გადავურჩით. უოლკოტმა მაშივე შეწყვიტა ვარჯიში, როცა ტკივილი იგრძნო. ითამაშებს თუ არა ძირითადში, ეს ექიმების პასუხზეა დამოკიდებული,"* – აცხადებს ჰოჯსონი.

ზემოთ ანდრეი შევჩენკოს ტრავმაზე მოგახსენეთ. სასტარტოში მისი მოხვედრა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, არადა, სწორედ ასეთ შეხვედრებშია საჭირო მისი გამოცდილება. თუკი **ოლეგ ბლოხინს** უმთავრეს ვარსკვლავზე უარის თქმა მოუხდა, **ანდრეი ვორონინს** ის უფრო **არტემ მილევსკის** შეუწყვილებს, ვიდრე **მარკო დევიჩს**. უკრაინის ნაკრები გადამწყვეტი მატჩისთვის მონდომებით ემზადება და იმისთვის, რომ ხალხს ეს საკუთარი თვალით ენახა, ბლოხინის გადაწყვეტილებით გუნდმა დონეცკში "მეტალურგის" სტადიონზე ღია ვარჯიში ჩაატარა, ოღონდ ფანებს ვარჯიშზე დასასწრებად ბილეთის შეძენა მოუხდათ. ტრიბუნებზე რამდენიმე ათასი ადამიანი მაინც შეიკრიბა. სწორედ აქ შეიტყო ხალხმა, რომ შევას ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა.

სავარჯიშო პროცესთან დაკავშირებით მცირე პრობლემები შეექმნა ინგლისის ნაკრებს, ვისაც ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა მატჩის წინა ვარჯიშის ჩატარება დონეცკის "დონბას არენაზე" აუკრძალა. მიზეზი ალბათ ყველასთვის ცხადია: უკრაინა-საფრანგეთის შეხვედრას თუ უყურეთ, ნახავდით, რომ მატჩი ერთი საათით კოკისპირული წვიმის გამო გადაიდო. მართალია, დრენაჟის სისტემამ მოვარდნილი ნალექი მთლიანად გაატარა, მაგრამ ამან მოედანი სერიოზული ზიანისგან ვერ იხსნა. "დონბასის" ნაცვლად ინგლისელები ბოლო ვარჯიშს კრაკოვის სტადიონზე გამართავენ.

მატჩის წინ გუნდში შექმნილ სიტუაციაზე ბლოხინი რუსულ "სპორტ ექსპერესს" ესაუბრა. აი, რა თქვა ოლეგ ვლადიმიროვიჩმა: *"საფრანგეთთან წაგება განვიცადეთ, მაგრამ რასაც არ ეშველება, იმაზე ჩაციკვლა არ ღირს და ამიტომ ინგლისთან მატჩზე მალე გადავერთეთ. შვედეთთან გამარჯვების შემდეგვე ვცდილობდი, ფეხბურთელები ეიფორიიდან გამომეყვანა, თუმცა მათ ეს განწყობა ფრანგებამდე მაინც მიჰყვათ. წაგებამ ისინი მიწას დაანარცხა. სათამაშო სტაბილურობა დიდწილად ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული. ინგლისთან თამაშამდე აქცენტს თეორიულ ნაწილზე გადავიტანთ. ჰოჯსონის გუნდი მაქსიმალურად უნდა შევისწავლოთ, რათა მერე მათგან რაიმე სიურპრიზი არ მივიღოთ. შემადგენლობაში ცვლილებები იქნება, მაგრამ რომელ ხაზში და რამდენი, ამას ვერ გეტყვით, სამხედრო საიდუმლოებაა (იცინის). იქამდე ჯერ ბიჭებს უნდა ველაპარაკო".*



ანდრი შევჩენკო შეიძლება ინგლისელებთან გადამწყვეტ შეხვედრას დააკლდეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 2. ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. უკრაინა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. შვედეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |

თამაშის შესახებ გაესაუბრა თანამემამულე ჟურნალისტებს **ენდი კეროლი**. აი რას აცხადებს ფეხბურთელი: *"ვფიქრობ, უკრაინასთან შეხვედრაში შეგვიძლია შვედებთან დაწყებული საქმე დავამთავროთ. დარწმუნებულები ვართ ჩვენს ძალებში და ეს წინა თამაშისას დავამტკიცეთ. პლეი ოფში გასვლის კარგი შანსი გვაქვს, მით უფრო, რომ ყველაფერი ჩვენს ხელშია".*

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებდა უეინ რუნის წინასამატჩო განწყობა, რადგან მისთვის ეს თამაში სადებიუტოა ევრო 2012-ზე. *"არ ვცდილობ, ჩემს თავზე დამატებითი პასუხისმგებლობა ავიღო. გუნდში 23 კაცი ვართ და ზეწოლა ყველაზე ერთნაირია. მე არ შემიძლია მარტომ მოვიგო ევროპის ჩემპიონატი. ამ მიზნის მისაღწევად ყველა ყველას უნდა დაეხმაროს. საკმაოდ გამიჭირდა ტრიბუნებიდან გუნდის გულშემატკივრობა მაშინ, როცა ვგრძნობდი, რომ შემეძლო მოედანზე ვყოფილიყავი და თანაგუნდელებს ისე დავხმარებოდი. ჩემი შეცდომის გამო პასუხი უკვე ვაგე,"* – განაცხადა რუნიმ.

**ლევან ბიბილაშვილი**

19.06. კიევი. ოლიმპიური. 22:45

**შვედეთი-საფრანგეთი**

დისკვალიფიკაცია: არავინ.
ტრავმა: არავინ.

**ბოლო 5 მატჩი**

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-შვედეთი | 1:3 |
| შვედეთი-ისლანდია | 3:2 |
| შვედეთი-სერბეთი | 2:1 |
| **ევრო 2012** | |
| უკრაინა-შვედეთი | 2:1 |
| შვედეთი-ინგლისი | 2:3 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| საფრანგეთი-ისლანდია | 3:2 |
| საფრანგეთი-სერბეთი | 2:0 |
| საფრანგეთი-ესტონეთი | 4:0 |
| **ევრო 2012** | |
| საფრანგეთი-ინგლისი | 1:1 |
| უკრაინა-საფრანგეთი | 0:2 |

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შვედეთი (4-4-1-1):** ისაკსონი – გრანკვისტი, მელბერგი, ი. ოლსონი, მ. ოლსონი – ლარსონი, ჩელსტრიომი, სვენსონი, ელმი – იბრაჰიმოვიჩი - ელმანდერი.

**საფრანგეთი (4-2-3-1):** ლორისი – დებიუში, კოშელნი. მექსესი, კლიში – მვილა, დიარა – რიბერი, ნასრი, მენეზი - ბენზემა.

**მსაჯი:** პედრო პროენშა (პორტუგალია).

**ისტორია**

**საფრანგეთისა** და შვედეთის ნაკრებების დაპირისპირებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და 17 პაექრობას ითვლის; აქედან, 8 შეხვედრა ფრანგთა გამარჯვებით დასრულდა, 4 მატჩი შვედებმა მოიგეს, 5 კი ფრედ დასრულდა. ფავორიტად თითქმის ყოველთვის "მამლები" მიიჩნეოდნენ და გამონაკლისი არც დღევანდელი ჯახი იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შვედები უმოტივაციოდ არიან დარჩენილნი, ფრანგებს კი მეოთხედფინალში გასასვლელად ერთი ნაბიჯი აკლიათ.

## ბლანი: ყველაფერი ჩვენს ხელთაა

### შვედები კარის გაჯახუნებას აპირებენ



**სატურნირო ცხრილი**

D ჯგუფში ფრანგებს ყველაზე კომფორტული მდგომარეობა აქვთ, პირველი ადგილი უკავიათ და უკანასკნელ შეხვედრაში უმოტივაციოდ დარჩენილ აუტსაიდერებს ეთამაშებიან. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **ლორან ბლანის** შეგირდებმა მინიმუმ ერთი ქულა უნდა აიღონ, რაც მეოთხედფინალში გასასვლელად სრულიად საკმარისი იქნება. თუმცა ფრანგებს პირველი ადგილის დაკავება სურთ და ყველაფერს გააკეთებენ, რომ შვედებთან სამი ქულა აიღონ.

საგულისხმოა, რომ საფრანგეთის ნაკრები მარცხის შემთხვევაშიც შეიძლება გავიდეს პლეი ოფში – ეს იმ პირობით, თუ უკრაინა ინგლისს მოუგებს და ბურთების შეფარდება გალებს ბრიტანელბზე უკეთესი ექნებათ. მოკლედ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა – საფრანგეთის ნაკრები მეოთხედფინალში იასპარეზებს, აი შვედებს კი არაფერი ეშველებათ.

**მატჩის წინ**

საფრანგეთში დარწმუნებულნი არიან, რომ მათი გუნდი შვედებს აუცილებლად დაამარცხებს და ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებს; გულშემატკივრებს ასეთი ოპტიმიზმის საბაბი ნამდვილად აქვთ, რადგან მათი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ჯერჯერობით შესანიშნავად ასპარეზობს. ბუნებრივია, უფრო ფრთხილი პოზიცია აქვს არჩეული ლორან ბლანს და აცხადებს, რომ პლეი ოფში გასასვლელად ბოლო ნაბიჯის გადადგმაა საჭირო. ამ გზაზე, ბლანი ისევ 4-2-3-1 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე ისევ **ქარიმ ბენზემას** გაამწესებს. რა თქმა უნდა, ფორვარდის უკან **ფრანკ რიბერი, სამირ ნასრი** და **ჟერემი მენეზი** გაირჯებიან. საფრანგეთის ნაკრებს 23-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, რაც ამ გუნდის ისტორიაში მეორე საუკეთესო შედეგია – აბსოლუტური რეკორდი, ანუ 30 მატჩი დაუმარცხებლად, **ემე ჟაკეს** ფორმაციის საფრანგეთს ეკუთვნის. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ბლანის გუნდმა აღნიშნული შედეგი გაიმეოროს, ვნახოთ...

შვედეთის ნაკრებმა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგა, მაგრამ ეს გუნდი მაინც იქცევს ჟურნალისტთა ყურადღებას... ჯერ ერთი, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** გამართა მინიბრიფინგი და განაცხადა, რომ სანაკრებო კარიერას ევროპის ჩემპიონატის შემდეგაც გააგრძელებს. ამასთან, შვედეთის ფეხბურთის ფედერაციამ მწვრთნელთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და **ერიკ ჰამრენს** კონტრაქტი არ შეუწყვიტა. შესაბამისად, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სკანდინაველებს ისევ ჰამრენი გაუძღვება, რომელსაც სავარაუდოდ ერთი ახალი ასისტენტი დაემატება. მოკლედ, სკანდინაველთა ბანაკში სრული სიმშვიდეა და კომენტარებიც შესაბამისი კეთდება...

**კომენტარები**

**ერიკ ჰამრენი (შვედეთის ნაკრების მწვრთნელი):** *"ცუდად არც ერთი თამაში არ ჩაგვიტარებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დავკარგეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, უკანასკნელ პაექრობას დიდი ენთუზიაზმით ჩავატარებთ და ვეცდებით, რომ კარი მაინც გავიჯახუნოთ. საფრანგეთის ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია და სწორედ მათთან გვსურს დავამტკიცოთ ჩვენი შესაძლებლობები".*

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედეთის ნაკრები):** *"ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ სანაკრებო კარიერა კიდევ მინიმუმ ორი წლით გავაგრძელო. მსურს, შვედეთის უმთავრეს გუნდთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიასპარეზო და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, ურიგოდ არ ვასპარეზობთ, მაგრამ წარმატების მისაღწევას ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ვეცდებით, საფრანგეთთან წარმოვაჩინოთ საუკეთესო შესაძლებლობები".*

**ლორან ბლანი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი):** *"ბევრმა უკვე გაგვიყვანა მეოთხედფინალში, მაგრამ ასეთი მიდგომით, შეიძლება ცხვირი წავიმტვრიოთ. მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო, რადგან შვედებს ძლიერი გუნდი ჰყავთ და დარწმუნებული ვარ, რომ ბოლომდე იბრძოლებენ. ჩვენი კოზირი შეტევა და სისწრაფეა, რაზეც არც ამჯერად ვუტყვით უარს. ვნახოთ, ყველაფერი ჩვენს ხელშია".*

**ლაშა ნიკლაური**



# ევრო 2012

## ტრანსფერები

### უოტფორდი იტალიელს გადაეცემა

ინგლისის ჩემპიონშიპის კლუბი "უოტფორდი" იტალიელი მილიარდერის **ჯამპაოლო პოცოს** ვაჟის **ჯინო პოცოს** საკუთრებაში გადადის. სწორედ ამ ოჯახს ეკუთვნის "უდინეზე" და "გრანადა". როგორც insidespanishfootball.com იუწყება, საქმის იურიდიულად მოგვარებამდე ფორმალობებიღა დარჩა. სენიორ ჯინო შარშან "ჩარლტონის" შეძენასაც გეგმავდა, თუმცა არაფერი გამოუვიდა.

### რეინჯერსი მოიკვეთა

"რეინჯერსი" შოტლანდიის მომდევნო ჩემპიონატს, რომელიც, 4 აგვისტოს იწყება, გამოტოვებს. პრემიერლიგამ შესაბამისი გადაწყვეტილება კლუბის მიერ დაგროვილი ვალების გამო მიიღო. უკვე ვწერდით, რომ დიდი ბრიტანეთის საგადასახადო და საბაჟო სამსახურმა კლუბს უარი უთხრა ვალების დარეგულირებაზე და ის, შესაბამისად, გაკოტრებულად გამოცხადდა.

### ქუინზ პარკის ახალწვეულები

"ქუინზ პარკმა" ოფიციალურად დაადასტურა ორი ფეხბურთელის, 31 წლის თავდამსხმელის **ენდი ჯონსონისა** და 34 წლის ცენტრალური მცველის **რაიან ნელსენის** შეძენა. ჯონსონმა წინა სეზონი "ფულჰემში" გაატარა, თუმცა კონტრაქტი დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტის სტატუსით "ლოფტუს როუდზე" ორი წლით გადაბარგდა. მას იქ ყოფილი დამრიგებელი **მარკ ჰიუზი** და ასევე ყოფილი თანაგუნდელი **ბობი ზამორა** დახვდებიან.

რაც შეეხება რაიან ნელსენს, ახალზელანდიელმა ვეტერანმა ბოლო 6 თვე "ტოტენჰემში" გაატარა, თუმცა თავი ვერაფრით გამოიჩინა და "დეზებმა" მასთან ხელშეკრულების გაგრძელება აღარ ისურვეს. პრემიერლიგაში საუკეთესო წლები ფეხბურთელს "ბლექბერნში" აქვს გატარებული, სადაც ის თავის დროზე სწორედ მარკ ჰიუზმა მიიწვია. ახალ გუნდს ნელსენი გვიან შეუერთდება, რადგან ოლიმპიურ თამაშებზე ის ახალი ზელანდიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი იქნება.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ბენდტნერი 100 000 ევროთი დააჯარიმეს

უეფამ დანიის ნაკრების თავდამსხმელი **ნიკლას ბენდტნერი** 100 000 ევროთი დააჯარიმა. მიზეზი, როგორც ხვდებით, ის ქვედა საცვალია, რომელიც ბენდტნერს გერმანიასთან მატჩში ეცვა და რომელზეც ტოტალიზატორის სახელწოდება ეწერა, რაც რეკლამაში ჩაეთვალა, ეს კი ფეხბურთელებს სასტიკად ეკრძალებათ. თავად ბენდტნერი ირწმუნება, რომ კომპანიის რეკლამირება არ უნდოდა და რომ ტრუსს, რომელიც მეგობარმა აჩუქა, თილისმის როლი უნდა შეესრულებინა(?!), მაგრამ ფაქტია, რომ რეკლამა გამოუვიდა, რის გამოც დაისაჯა კიდეც.

თუმცა ბენდტნერს მხოლოდ ფულადი ჯარიმა როდი აკმარეს: ნიკლასი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩსაც (ჩეხეთთან, 8 სექტემბერს) გამოტოვებს.

### როსიცკი პრაღაში გადაფრინდა

ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი **ტომაშ როსიცკი** პრაღაში გადაფრინდა, სადაც მას კვალიფიციური ექიმები უმკურნალებენ – ეს ინფორმაცია გუშინ ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაადასტურა. ჩეხები და როსიცკი იმედოვნებენ, რომ ტომაში ხუთშაბათამდე გამოჯანმრთელებას შეძლებს და გუნდს ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში (პორტუგალიასთან) დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში, საბერძნეთთან დაშავდა და ბოლო ტურის შეხვედრაში (პოლონეთთან) ველარ ისპარეზა.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ფეხბურთი და პოლიტიკა

## ბერძნები ბობოქრობენ: მოემზადე, ანგელა!

გერმანიის ნაკრები მეოთხედფინალში საბერძნეთს შეხვდება და სრულიად საბერძნეთი ამ მატჩისთვის ემზადება. გასაგები მიზეზების გამო, ამ მატჩმა პოლიტიკური დატვირთვაც მიიღო – ამ მხრივ ფრონტის ხაზი, როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნებმა გახსნეს. ბერძნული ჟურნალ-გაზეთები გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელს** ემუქრებიან!

*„ესეც ასე, გერმანელებო! თქვენი მევალეები მეოთხედფინალში გავედით. ანგელა, მოემზადე!"* - წერდა ბერძნული სპორტული გაზეთი „სპორტი".

ამ გამოცემას არც „გოლ ნიუსი" ჩამორჩა: *„მოგვგვარეთ მერკელი! თქვენ ვერასდროს გააგდებთ საბერძნეთს ევროზონიდან!"*


ბერძნები გერმანელებს ემუქრებიან

ცეცლხზე ნავთი „მეტრო სპორტმაც" დაასხა: *„გერმანელებს ჩვენი დაჩაგვრა სურთ? ჩვენ მათ მოედანზე ავაფეთქებთ!"* - წერდა ხსენებული გამოცემა.

მოსალოდნელ „ომთან" დაკავშირებით კომენტარი **მიხაილ სიფაკისმაც** გააკეთა: *„ჩვენ ძალიან კომფორტულად ვგრძნობთ ხოლმე თავს მაშინ, როდესაც ყველა ჩვენს წინააღმდეგაა. ბერძნები სწორედ ასეთ დროს ვართ ყველაზე ძლიერები. რუსებმა ეს უკვე იგემეს, ახლა გერმანიის რიგია!"*

**გოტფრიდ ლენცი**

---

მოსალოდნელი ტრანსფერი


იაკუბ ბლაშჩიკოვსკი შესაძლოა ლაციოში გადავიდეს

## ბლაშჩიკოვსკი ლაციოში?

### ამასობაში დორტმუნდმა მესამე ფეხბურთელი იყიდა

იტალიური პრესის ცნობით, რომის „ლაციოს" დორტმუნდის „ბორუსიას" და პოლონეთის ნაკრების მარჯვენა გარემარბის, **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** გადაბირება უნდა. „ლა რეპუბლიკა" წერს, რომაელთა მენეჯერი **იგლი ტარე** ორშაბათს პოლონეთში გაფრინდა, სადაც „კუბას" მრჩეველ **ვოლფგანგ ფიოგესთან** პირველ მოლაპარაკებას გამართავსო.

ბლაშჩიკოვსკის გერმანიის ჩემპიონთან და თასის მფლობელთან კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული და დორტმუნდელები მას ახალ ხელშეკრულებას სთავაზობენ, მაგრამ ფეხბურთელი გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს, რის გამოც „ლაციოში" ტრანსფერი საკმაოდ რეალურია. „კუბა" დორტმუნდში 2007 წელს, კრაკოვის „ვისლადან" გადავიდა და მაშინ „ბორუსიამ" მის სანაცვლოდ 3 მილიონი ევრო გადაიხადა.

აქვე გეტყვით, რომ „დორტმუნდმა" „კაიზერსლაუტერნის" 29 წლის მარჯვენა მცველი **ოლივერ კირხი** გადაიბირა (კონტრაქტი 2014 წლამდე). ეს უკანასკნელი მომავალი სეზონისთვის „ბორუსიას" რიგით მესამე ახალწვეულია – დორტმუნდელებმა მანამდე **მარკო როისის** (გლადბახიდან, 17.1 მილიონად) და **ლეონარდო ბიტენკურის** (კოტბუსიდან, 3 მილიონად) ტრანსფერები გაჩარხეს.

**გოტფრიდ ლენცი**

---

ჰოლანდიის ნაკრები

## ვან მარვიიკს არ აგდებენ!

### თუმცა შემცვლელზე სპეკულაციები უკვე დაიწყო

ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ბერტ ვან ოოსტვეენმა** გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მიუხედავად ევროპის ჩემპიონატზე განცდილი კრახისა (ჰოლანდიის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა), ნარინჯისფრების მთავარი მწვრთნელის, **ბერტ ვან მარვიიკის** გათავისუფლებას არ აპირებს.

*„ვან მარვიიკის გათავისუფლებას არ ვაპირებთ. მიმაჩნია, რომ მან კიდევ ერთი შანსი დაიმსახურა და თანამდებობაზე უნდა დარჩეს,"* - უთხრა ვან ოოსტვეენმა ჰოლანდიურ პრესას. ჰოლანდიური ფეხბურთის ბოსი ვან მარვიიკის გუნდის კრახს კატასტროფის ტოლფასად მიიჩნევს, მაგრამ ამაში მწვრთნელს ყველაზე ნაკლებად ადანაშაულებს.

*„არც ერთი ქულა, ხუთი გაშვებული გოლი – ჰოლანდიის ნაკრებს დიდ ტურნირზე ასე სამარცხვინოდ არასდროს უასპარეზია და ამას ყველანი ვაცნობიერებთ, მაგრამ ბერტ ვან მარვიიკი მაინც მხარდაჭერას იმსახურებს, რადგან წინა წლებში დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია. ეს არის მწვრთნელი, რომელმაც ჩვენს გუნდს ორჯერ აბსოლუტურად უპრობლემოდ გადაალახვინა საკვალიფიკაციო ეტაპი და 2010 წელს ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. მისი დამსახურებები არ უნდა დაგვავიწყდეს და სხვათა შორის, კონტრაქტი 2016 წლამდე სპეციალურად გავუხანგრძლივეთ. მიმაჩნია, რომ ვან მარვიიკი კვლავაც სწორი არჩევანია"* - განაცხადა ბერტ ვან ოოსტვეენმა და იქვე დასძინა, მომდევნო ტესტ-მატჩამდე (15 აგვისტო: ჰოლანდია-ბელგია) ბერტს აუცილებლად დაველაპარაკები და ევრო 2012-ზე განცდილ კრახს ერთად გავაანალიზებთო.


ბერტ ვან მარვიიკი ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე რჩება

### ვან მარვიიკი: შეცდომები დავუშვი!

თავად ვან მარვიიკმა პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ აღიარა, რომ შეცდომები დაუშვა და იქვე დასძინა, ამ სირცხვილისთვის პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებო.

*„პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და შეცდომებსაც ვაღიარებ,* - აღნიშნა ჰოლანდიელთა დამრიგებელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, - *საერთო ჯამში ძალიან ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებდით. თანაც, უმარტივესი გოლები გავუშვით. მოკლედ, ფეხბურთელებმაც და მეც ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. ახლა არ მკითხოთ, გადადგომას ხომ არ აპირებო. ამწუთას ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს".*

მიუხედავად ფედერაციის პრეზიდენტის ასეთი განცხადებებისა, ჰოლანდიურ პრესაში მაინც დაიწყო სპეკულაციები ვან მარვიიკის შესაძლო შემცვლელის შესახებ. ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგების აზრით, თუ ვან მარვიიკი თავისი ნებით გადადგება ან მაინც გაათავისუფლებენ, ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის უმთავრესი კანდიდატი **რონალდ კუმანი** იქნება. ეს უკანასკნელი როტერდამის „ფეიენოორდს" წვრთნის და ამ გუნდის სპორტულმა დირექტორმა **მარტინ ვან გეელმა** განაცხადა, კუმანს არავითარ შემთხვევაში არ დავთმობთო...

**გოტფრიდ ლენცი**

---

ბაიერნი

## მიულერმა ინტერს უარი შეუთვალა

ბოლო დღეებში გერმანიაში ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ მილანის „ინტერი" „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველით, **თომას მიულერით** დაინტერესდა. ამ თემას გუშინ თვითონ 22 წლის ფეხბურთელი გამოეხმაურა.

*„შეგიძლიათ დაივიწყოთ, „ინტერში" გადასვლას არ ვაპირებ,* - განაცხადა მიულერმა „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში, - *მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონის ბოლოს „ბაიერნში" ხშირად სათადარიგოთა სკამს ვხეხავდი, მიუნხენიდან წასვლა არ მინდა, იტალიაში გადასვლას კი კატეგორიულად გამოვრიცხავ."*

**გოტფრიდ ლენცი**

---

ვარსკვლავი. დენი უელბეკი

## ინგლისის ახალი გმირი

**21 წლის დენი უელბეკის შვედების კარში გატანილმა გამოცემა "დეილი მეილის" ჟურნალისტებს ფეხბურთელზე მცირე ჩანახატის დაწერისკენ უბიძგა. გაზეთი "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავზე საინტერესო ამბებს გვიყვება.**

- ჯერ კიდევ გუშინ ვხედავდით 13 წლის ბიჭს, რომელიც ვიდეოზე რუუდ ვან ნისტელროისთან ერთად იყო გადაღებული. დღეს კი მას უკვე გადამწყვეტი გოლები გააქვს ევროპის ჩემპიონატზე. მოდი, ცოტა მეტი რამ გავიგოთ შვედეთთან მატჩის გმირზე.

მისი სახელია დენიელ ნიი ტეკი მენსა უელბეკი, თუმცა მას ყველა უბრალოდ დენის უწოდებს. მისი მშობლები (ვიქტორი და ელიზაბეტი – სოციალური მუშაკები) განელები არიან. განის ფეხბურთის ფედერაცია თავის დროზე ცდილობდა ფეხბურთელი თავისთან ეხმო. მათ ეს ჯერ კიდევ მანამდე სცადეს, ვიდრე დენის ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვევდნენ. ეროვნულ გუნდში მისი დებიუტი სწორედ განასთან შეხვედრაში შედგა. სტუმართა


დენი უელბეკი

გულშემატკივრებმა ფეხბურთელს უსტვინეს.

8 წლისა უელბეკი "მანჩესტერ სიტის" აკადემიამ თავისთან არ მიიღო, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ დენი ფეხბურთის სათამაშოდ ძალიან გამხდარი და სუსტი იყო. "იუნაიტედის" სკოლაში უელბეკი 6 წლისა მოხვდა. 13 წლისა კი უკვე კამერების ობიექტივში მოექცა, როცა ბავშვებთან მასტერკლასს რუუდ ვან ნისტელროი ატარებდა. შეგიძლიათ იუთუბში ნახოთ ეს ვიდეო, უბრალოდ ჩაწერეთ Play it Like a champion (ითამაშე როგორც ჩემპიონმა).

როგორც ფეხბურთელთა უმრავლესობას უყვარს ნანდოს (რესტორნების ქსელი) მომსახურება, თუმცა აღიარებს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავს არაკომფორტულად გრძნობს და ურჩევნია, საკვები სახლში წაიღოს. დენი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია. მან სკოლის დამამთავრებელ 9 გამოცდაში C და A შეფასებები მიიღო. განსაკუთრებულად კარგი შეფასებები ჰქონდა მასაც მათემატიკასა და ლიტერატურაში.

**ლევან ბიბილაშვილი**

ვალენსია

# ცვლილებები ვალენსიაში

## სოლდადო დარჩა, დეალბერტი ყუბანში წავიდა, კალეხონი სურთ

ესპანეთის ჩემპიონატის მე-3 ადგილოსანი „ვალენსია“ სეზონის დასრულების შემდეგ ძალიან შეიცვალა. უპირველესად, გუნდში აღარ არის მთავარი მწვრთნელი უნაი ემერი, რომელიც უკვე ჯანო ანანიძის დამრიგებელია. მის ნაცვლად არგენტინელი მაურისიო პელეგრინო მუშაობს. უნაის გზას რუსეთისკენ კიდევ ერთი ვალენსიელი გაუდგა, ოღონდ 29 წლის ცენტრალური მცველი ანხელ დეალბერტი ჩრდილოკავკასიურ „ყუბანში“ გადავიდა და ამ გუნდთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ „ყუბანის“ მთავარი მწვრთნელი წარსულში ცნობილი რუმინელი ფეხბურთელი დან პეტრესკუა. ანხელ დეალბერტი 2009 წლიდან თამაშობდა „ვალენსიაში“, თუმცა ძირითადში დამკვიდრება მუდამ უჭირდა.



ხორდი ალბა და კარლეს პუიოლი მალე თანაგუნდელები გახდებიან

### სოლდადომ კარგად ივაჭრა

ამასობაში „ვალენსიას“ მთავარმა მეგოლემ, 27 წლის **რობერტო სოლდადომ** 2017 წლამდე გააგრძელა „ღამურებთან“ კონტრაქტი. მოლაპარაკება ფეხბურთელსა და კლუბს შორის თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა და ბოლოს კლუბი დათანხმდა ფეხბურთელის მიერ წაყენებულ პირობებს. სოლდადოს კონტრაქტი 2014 წელს სრულდებოდა. სხვათა შორის, ის ისედაც გუნდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი იყო. სოლდადოს შეძენით ფრანგული პსჟ და იტალიური „ნაპოლი“ იყვნენ დაინტერესებულნი. ახლა სოლდადოს შეძენის მსურველ კლუბს 35 მილიონი ევროს გამზადება მოუწევს. სხვათა შორის, ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალი ჯერ არ გამართულა.

### დახარჯული 100 მილიონი და...

„ვალენსიამ“ უკვე შეიძინა ლას პალმასელი **ხონათან ვიერა**, პორტუგალიის ნაკრების მარჯვენა მცველი **ჟოაო პერეირა** და მექსიკელი **ანდრეს გუარდადო**. თუმცა გუნდმა ჰოლანდიელი **ჰედვიგეს მადურო** და დეალბერტი დაკარგა. სხვათა შორის, ცვლილებები კიდევ ბლომად იქნება. მაგალითად, ამბობენ, რომ კლუბიდან არგენტინელი **ტინო კოსტა** და თურქი **მეჰმეთ თოპალი** წავლენ. ნახევარდაცვაში, ბუნებრივია, „ახალი სისხლი“ გახდება საჭირო. „მარკას“ ცნობით, ბოლო 12 წელიწადში „ვალენსიამ“ სხვადასხვა ნახევარმცველის შეძენაში 94,8 მილიონი ევრო დახარჯა და პირველივე ახალი შენაძენი ამ თამასას ას მილიონ ევრომდე ასწევს. ამბობენ, რომ „ვალენსია“ „ესპანიოლის“ 26 წლის შუახაზელ **ხავი მარკესს** მიიწვევს.



ანხელ დეალბერტი უკვე კავკასიაშია

### ალბა ჯერ კიდევ ვალენსიელია

იცით ალბათ, რომ ევრო 2012-ის დასრულების შემდეგ „ვალენსიას“ **ხორდი ალბა** დატოვებს და სავარაუდოდ „ბარსელონაში“ გადაბარგდება. თუმცა „ვალენსიას“ სპორტული დირექტორი **ბრაულიო ვასკესი** ამბობს, რომ ეს თემა ჯერ დახურული არ არის და ალბა ჯერაც „ღამურების“ წევრია. ბრაულიო სხვა სავარაუდო ტრანსფერების თემასაც შეეხო. მაგალითად, მან თქვა, რომ თუკი თავდამსხმელი **არიც ადურისი** ბილბაოს „ატლეტიკში“ წავა, ეს არ იქნება ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული - უბრალოდ, ბასკს გული სახლისკენ მიუწევსო. „ლოს ჩეს“ სპორტულმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ტინო კოსტას შეძენისთვის სერიოზული წინადადებით მიმართა გუნდს ფრანგულმა „ლილმა“, ხოლო „ფენერბაჰჩესგან“ მეჰმეთ თოფალის სანაცვლოდ შემოთავაზებული თანხა მას ეცოტავება. სპორტულმა დირექტორმა ისიც თქვა, რომ გუნდს კვლავ სურს პსჟ-ს ფორვარდი **კევინ გამეირო**.

„მარკამ“ ცოტა მეტი გაიგო ალბას ტრანსფერზე, რაც ბრაულიოს არ გაუხმაურებია - „ვალენსია“ მის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ითხოვს, „ბარსელონაში“ კი ვარაუდობენ, რომ ალბას შეძენას 11 მილიონადაც შეძლებენ.

და აი, კიდევ ერთი სიახლეც - „ვალენსიას“ „რეალის“ შემტევი ნახევარმცველი **ხოსე კალეხონი** სურს. კლუბებს შორის უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება, თუმცა ცხადია, რომ 25 წლის კალეხონის სანაცვლოდ „სამეფო კლუბი“ ცოტას არ მოითხოვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ტოტენჰემი

# მორიგი საჭირბოროტო საკითხი

ყველგანასეა: როცა წარმატებული და ამბიციური გუნდი მთავარ მწვრთნელს პოსტიდან ათავისუფლებს, მასმედიას საწერი და სალაპარაკო ბევრი ეძლევა. ასეა "ტოტენჰემის" შემთხვევაშიც. უკვე ითქვა, რომ კლუბი **ანდრე ვილაშ ბოაშის** მიწვევას აპირებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელები ამის წინააღმდეგნი არიან. მათ არ სურთ ახალგაზრდა პორტუგალიელის ხელმძღვანელობით თამაში. "სანის" მტკიცებით, ტოტენჰემელები "ჩელსის" ფეხბურთელებს დაუკავშირდნენ და მათგან ვილაშ ბოაშის მკვეთრად უარყოფითი დახასიათება მიიღეს. შეგახსენებთ, რომ უკანასკნელებს 34 წლის დამრიგებელთან ძირითადად ის პრეტენზია ჰქონდათ, რომ ავტორიტეტულ ფეხბურთელებს პატივს არ სცემდა და ამასთან თეორიულ მეცადინეობებზე ყველაფერს იმდენად დაწვრილებით ხსნიდა, რომ **ეშლი კოული** ამბობს: ხანდახან თავი გონებაშეზღუდული ბავშვი მეგონაო. რაკი მეგობრებისგან ცუდი რეკომენდაცია მიიღეს, ფეხბურთელები კლუბის აღმასრულებელ დირექტორ **დენიელ ლევის** შეხვდნენ და მათი პოზიციის



ტოტენჰემელებს ანდრე ვილაშ ბოაშის გაგონებაც არ უნდათ

გათვალისწინება სთხოვეს. ლევის არც თუ ისე დიდი არჩევანი აქვს: 1. დარჩეს თავისი გეგმის ერთგული და ფეხბურთელებთან ისედაც გამწვავებული ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავოს 2. სხვა კანდიდატურები განიხილოს. მაგალითად **ლორან ბლანი, დევიდ მოიესი, რობერტო მარტინესი** და **რალფ რანგნიკი**.

მოგეხსენებათ, "ჩელსის" ვარსკვლავი **ფრენკ ლემპარდი** "ტოტენჰემის" ყოფილი დამრიგებლის **ჰარი რედნაპის** დისშვილია. აი, რა თქვა ფეხბურთელმა ბიძის თავს დატრიალებულ ამბებზე: *"ძალიან განვიცდი მის ამბებს. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფეხბურთში ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა მისთვის ყველაზე დიდ იმედგაცრუებად გადაიქცა. ჰარიმ თავის გუნდთან ერთად მეოთხე ადგილი დაიკავა პრემიერლიგაში და ჩემპიონთა ლიგაში თამაში დაიმსახურა. სწორედ ამიტომ ვარ შოკირებული, რომ ის გუნდიდან გაუშვეს. მყავს მეგობრები, რომლებიც "დეზებს" გულშემატკივრობენ და ისინიც იმედგაცრუებულები არიან, რადგან მშვენივრად ახსოვთ ის პერიოდი, სანამ გუნდში ჰარი მივიდოდა. მას მერე "ტოტენჰემმა" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა და ლამის ჩემპიონობისთვის შეძლო ბრძოლა. რედნაპმა გუნდში ფანტასტიკური სამუშაო ჩაატარა".*

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები



პეკინის ოლიმპიური სტადიონი ესპანურ გრანდებს ამაოდ ელის

### რეალისა და ბარსას ვეტო პეკინს

ესპანეთის სუპერთასის თამაშები ჩინეთში აღარ გაიმართება - ამ იდეას ესპანური ფეხბურთის ორმა გრანდმა, „რეალმა“ და „ბარსელონამ“ დაადო ვეტო. ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციას უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, რომ უახლოესი 5 სუპერთასი ჩინეთში, პეკინის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართებოდა, მაგრამ „რეალმა“ და „ბარსამ“ სხვანაირად განსაჯეს. ამ გარიგებით, ესპანური ფედერაცია 30 მილიონ ევროს მიიღებდა, ხოლო თითოეული ფინალისტი 3-3 მილიონს.

### მედელი მოედნის გარეთაც აგრესიული ყოფილა

ჩილეში დაიჭირეს „სევილიას“ ნახევარმცველი **გარი მედელი**, რომელიც ესპანურ ლა ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე უხეში ფეხბურთელია. თურმე, მედელს აგრესია მოედნის გარეთაც მოჭარბებულად ჰქონია - გარი მედელი სანტიაგოს ერთ-ერთ მცხოვრებს სასტიკი ანგარიშსწორებით დამუქრებია. მედელი და მისი ერთ-ერთი მეგობარი 20 წლის **ანტონიო ესკობარს** ემუქრებოდნენ, თანაც ფეხბურთელს პნევმატური იარაღი ჰქონია. „სევილია“ მომხდარზე კომენტარს ჯერ არ აკეთებს.

### მილანი კაკას იბრუნებს

იტალიურმა გრანდმა „მილანმა“ უკვე დაიწყო სამუშაოები, რათა ამ სეზონისთვის გუნდში ბრაზილიელი **კაკა** დაიბრუნოს. დიდი ხანია ცნობილია, რომ **ჟოზე მოურინიო** ახალი სეზონისთვის კაკას ათამაშებაზე იმედებს აღარ ამყარებს. ამ კვირაში მადრიდში „რეალისა“ და „მილანის“ წარმომადგენლები კაკას ტრანსფერის თაობაზე პირველ შეხვედრას გამართავენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### ლივერპული სიგურდსონს უახლოვდება

"ლივერპულმა" **გილფი სიგურდსონთან** მოლაპარაკებები წამოიწყო... ინფორმაცია ჯერ კიდევ შაბათს გავრცელდა, გუშინდელი "ლივერპულ ეხოს" ცნობით კი, "წითლები" ტრანსფერს თანდათან უახლოვდება. "სუონსის" ახალი მთავარი მწვრთნელი **მიკაელ ლაუდრუპი** ფეხბურთელს უკვე ელაპარაკა და შეიტყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ისლანდიელს კლუბთან წინასწარი კონტრაქტი აქვს გაფორმებული, ის კარიერის გაგრძელების უკეთეს გზას ეძებს. ეს გზა კი ნამდვილად "ენფილდისკენ" მიდის. "დეილი მეილის" ცნობით, "წითლები" მზად არიან "ჰოფენჰაიმს" ფეხბურთელში 8 მილიონი ფუნტი (10,07 მილიონი ევრო) გადაუხადონ, ეს მაშინ, როცა "სოფლელები" "სუონსისთან" 0,5 მილიონი ფუნტით ნაკლებზე იყვნენ შეთანხმებულები. იმავე გაზეთის ცნობით, სიგურდსონი სამედიცინო შემოწმებას "ლივეპულში" კვირის ბოლომდე გაივლის და კონტრაქტსაც მოაწერს ხელს.

### იუვე: 30 მილიონი ტორესში

goal.com-ის ცნობით, "იუვენტუსი" მზადაა "ჩელსის" 28 წლის **ფერნანდო ტორესში** 30 მილიონი ევრო გადაუხადოს. შეგახსენებთ, რომ ლონდონელები გუნდიდან **დიდიე დროგბას** წასვლის შემდეგ ძლიერი ცენტრფორვარდის ყიდვას აპირებენ. ლაპარაკი ყველაზე ხშირად მიდის **ჰალკსა** და **ედინსონ კავანიზე**. ნიშნავს ეს თუ არა, რომ ესპანელი ძირითად თავდამსხმელად არ განიხილება? ვერ გეტყვით, მაგრამ ცხადია, რომ მხოლოდ "ელ ნინიოს" იმედად ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდი ვერ დარჩება.

### დროგბამ ჩინეთი აირჩია

"ჩელსის" ყოფილმა თავდამსხმელმა **დიდიე დროგბამ** არჩევანი "შანხაი შენხუაზე" შეაჩერა და უახლოეს დღეებში ის ჩინურ კლუბთან კონტრაქტს მოაწერს ხელს. საინტერესოა, რომ დიდიესთან ხელშეკრულებაში არის მუხლი, რომელიც მის ახალ კლუბს კოტ დ'ივუარში ახალი საავადმყოფოს აშენებას ავალდებულებს. "შანხაიში" დროგბას "ჩელსიში" ყოფილი თანაგუნდელი **ნიკოლა ანელკა** დახვდება.

C ჯგუფი.
III ტური

# ევრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისფერი და უფერული ფურია როხა

## და მაინც, მთავარი ტაბლოა

**მატჩი №21. 18.06. გდანსკი. არენა გდანსკი**

| ხორვატია | | ესპანეთი | |
|---|---|---|---|
| | 0 | | 1 |

**ხორვატია (4-2-3-1):** პლეტიკოსა - ვიდა (66. იელავიჩი), ჩორლუკა, შილდენფელდი, სტრინიჩი - ვუკოევიჩი (81. ედუარდო), რაკიტიჩი - სრნა, მოდრიჩი, პრანიჩი (65. პერიშიჩი) - მანჯუკიჩი.

**ესპანეთი (4-3-3):** კასილიასი - არბელოა, პიკე, სერხიო რამოსი, ალბა - ჩავი (89. ნეგრედო), ბუსკეტსი, ჩაბი ალონსო - სილვა (73. ფაბრეგასი), ტორესი (60. ხესუს ნავასი), ინიესტა.

**გოლი:** 0:1 ნავასი (88)

**გაფრთხილება:** ჩორლუკა, სრნა, სტრინიჩი, იელავიჩი, მანჯუკიჩი, რაკიტიჩი

**კუთხური:** 4-11; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 6-11 (3-8); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 39 076

**თამამად** ვიტყვით, რომ, თუ ირლანდიელებთან მატჩი საუკეთესოთაგანი იყო ვისენტე დელ ბოსკეს ფორმაციის „ფურია როხასთვის", ხორვატიასთან შეხვედრა, რომელიც საბოლოოდ მაინც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა გამარჯვებით დასრულდა, ახლანდელი გუნდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უხარისხო და დასავიწყებელი იყო. ესპანეთმა ბეწვის ხიდზე გაიარა, როცა „ნაკლები სისხლით" სცადა ფონს გასვლა, ხიდი სამჯერ მართლაც ბეწვზე გადაურჩა ჩატეხვას. დრო გავა და შედეგი დარჩება, შედეგი კი სახარბიელო იყო ესპანეთისთვის - 1:0 და დამსახურებული პირველი ადგილი ჯგუფში.



გამარჯვების გოლი

### ტაქტიკა/სტრატეგია

ხორვატთა თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** შემადგენლობაში ორი ცვლილება განახორციელა. გამოჩნდნენ **ვიდა** და **პრანიჩი**, სკამზე კი **პერიშიჩი** და ნაგრიპალი **იელავიჩი** დარჩნენ. ვიდამ კაპიტან **სრნას** ადგილი დაიკავა დაცვის მარჯვენა ფრთაზე, სრნამ კი წინ წაიწია, **მარიო მანჯუკიჩი** წინ წაწეულ ეულ ფორვარდად თამაშობდა. წინასწარვე ვიტყვით, რომ ვერ ივარგა ხორვატმა.



ესპანეთი კასილიასმა გადაარჩინა

ერთი შეხედვით, **ვისენტე დელ ბოსკემ** არაფერი შეცვალა, შემადგენლობა იგივე იყო, მაგრამ „ფურია როხა" თამაშობდა გაცილებით დაბალ ტემპში, ვიდრე წინა ტურში, ნაკრები მონდომებით და მეტი ნერვიულობით, რის გამოც **ჩავი, ბუსკეტსი, პიკე** და სხვებიც ხშირად ცდებოდნენ ელემენტარულ სიტუაციებში.

### საუკეთესო ფეხბურთელი

**იკერ კასილიასი (ესპანეთი)**

სან იკერი! რომ არა ნაკრების კაპიტანი, ევროპის ჩემპიონობის ტიტული ვაკანტური დარჩებოდა. ესპანელთა ქომაგებს სამჯერ გადაუქანდათ გულები, პირველად 59-ე წუთზე **მოდრიჩმა** გააბითურა მეტოქეები, მარჯვნიდან თავზე „დაასვა" ბურთი **ივან რაკიტიჩს**, რომელსაც დარტყმული კასილიასმა აულო. ზუსტად 20 წუთის შემდეგ კასილიასმა პერიშიჩის სახიფათო დარტყმა მოიგერია, ხოლო 86-ე წუთზე კუთხურს **ჩორლუკას** მხრით დარტყმული მოჰყვა ახლო მანძილიდან, ამ შემთხვევაში მეკარე უძლური იყო, უბრალოდ, ჩორლუკას არ გაუმართლა.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

**ფერნანდო ტორესი (ესპანეთი)**

იმედი გაგვიცრუეს ჩავიმ, ჟერარდ პიკემ, სერხიო ბუსკეტსმა და სხვებმაც. ძირითადად ესპანელებმა. მაგრამ მაინც ყველაზე სუსტი მათ შორის წინა ტურის გმირი **ფერნანდო ტორესი** იყო, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულის ტოლფასია. „ელ ნინიო", უბრალოდ, „გადაყლაპა" **გორდონ შილდენფელდმა.**

### მსაჯი

**ვოლფგანგ შტარკი** არა გვგონია რომელიმე ქართველ გულშემატკივარს მოსწონდეს ბოლო მოვლენების ფონზე, მაგრამ მას ნამდვილად ბევრი არაფერი დაუშავებია მოედანზე და ცილს ვერ დავწამებთ. 86-ე წუთზე არდანიშნული პენალტისას, თითქოს, ჩორლუკას წესების დარღვევით ებრძოდა ჰაერში ბუსკეტსი, მაგრამ თამაშის წესების დარღვევა აშკარა არ ყოფილა, რომ ეგრევე შეემჩნია გერმანელ არბიტრს.

### მწვრთნელების დუელი

სლავენ ბილიჩს იმდენი ვარიანტი არ ჰქონდა, რამდენიც ვისენტე დელ ბოსკეს, თუმცა ბილიჩი, რომელიც ამ თამაშით დაემშვიდობა ნაკრებს, ყველაფერს ეცადა, ტაქტიკა ისეააწყო, რომ ხორვატიას აუცილებლად შეექმნებოდა ერთი-ორი შანსი, მაგრამ ამ შანსებს გამოყენება უნდა. დელ ბოსკემ, ტორესი დროულად გაიყვანა მოედნიდან და **ხესუს ნავასი** შეიყვანა. „ფურია როხას" 23-კაციან სიაში მხოლოდ ორია, რომელYთა მოედანზე გამოსვლითაც კარდინალურად იცვლება ნაკრების თამაშის სტილი, ერთი სწორედ ნავასია (მეორე **ლორენტეა**), რომელიც საუკეთესო იქნებოდა, რომ არა კასილიასის გმირობა. ის, რომ ხორვატიამ ბოლოს ვერ შეძლო ხეირიანი შტურმის განხორციელება, ნავასის მუდმივი აქტიურობის ბრალიცაა. პლუს ამას სევილიელმა გამარჯვების გოლი გაიტანა - 88-ე წუთზე **ფაბრეგასმა** საჯარიმოში ინიესტა მოძებნა, რომელმაც ნავასს დაუგორა, რომელმაც კარიერაში ერთ-ერთი უიოლესი გოლი გაიტანა.

### ანალიზი

რა გზა აირჩიეს ესპანელებმა მძიმე სიტუაციაში? სიტუაციისა და ბურთის კონტროლი, ოღონდ დიდი სიფრთხილით და შესაბამისად ტემპის დაგდებით. **ანდრეს ინიესტას** ვერ აჰყვნენ ჩავი, ბუსკეტსი და ვერც **სილვა.** პრინციპში, ჩანაფიქრმა საბოლოოდ გაამართლა, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ „როხამ" ბეწვის ხიდზეც გაიარა.

ამ სიტუაციაში მეტს ველოდით ხორვატიისგან, რომელსაც აშკარად არ აწყობდა მიმდინარე შედეგი, მას მერე, რაც პარალელურ თამაშში იტალიამ ირლანდიას პირველი გოლი გაუტანა.

### დასკვნა

საბოლოოდ, ესპანეთის ნაკრებმა დამსახურებულად მოიგო და ჯგუფი პირველ ადგილზე დაასრულა, დღეს კი მომავალი მეტოქის ვინაობას გაიგებს, დ ჯგუფში მე-2 ადგილზე ვინ გავა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. ხორვატია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 4. ირლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




სესკ ფაბრეგასმა ოთხ ხორვატს აჯობა

**მატჩი №22. 18.06. პოზნანი. მუნიციპალური სტადიონი**

| იტალია | ირლანდია |
|---|---|
| 2 | 0 |

**იტალია (4-4-2):** ბუფონი – აბატე, ბარცალი, კიელინი (57. ბონუჩი), ბალცარეტი - პირლო, დე როსი, მოტა, მარკიზიო – კასანო (63. დიამანტი), დი ნატალე (75. ბალოტელი).

**ირლანდია (4-4-2):** გივენი – დანი, ოში, სტ. ლედჯერი, უორდი, – მაკგიდი (65. ლონგი), დაფი, უელანი, ენდრიუზი – დოილი (76. უოლტერსი), კინი (86. კოქსი).

**გოლები:** 1:0 კასანო (35), 2:0 ბალოტელი (90).

**გაძევება:** ენდრიუზი (89).

**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 22(14)-6(2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 41 000

# ტანჯვა-წამება იტალიურად

## ნაცნობი სურათი და აძურა მეოთხედფინალში

**იტალიის ნაკრები ტრადიციულად, ტანჯვასა და წამებაში გავიდა ჯგუფური ეტაპიდან და მაინც, სრულიად დამსახურებულად ითამაშებს მეოთხედფინალში. სინამდვილეში, "სკუადრა აძურამ" დაახლოებით ერთი საათი ძალიან ლაღი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა, აი შემდეგ კი დათმო მოედნის ცენტრი და გულშემატკივრები ძალიან ანერვიულა; ამ ყველაფერზე ქვემოთ...**



ანტონიო კასანო (№10) ანგარიშს ხსნის

### ტაქტიკა/სტრატეგია

ირლანდიის ეროვნული ნაკრები ნაკლებად საინტერესოა. აი, **ჩეზარე პრანდელიმ** კი მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ნაცადი 3-5-2 ტაქტიკა 4-4-2-ით შეცვალა. დაცვის ცენტრში გამოჯანმრთელებული **ანდრეა ბარცალი** ვიხილეთ, რომელიც **ჯორჯო კიელინის** შეუწყვილდა, ფლანგებზე კი **ინაციო აბატე** და **ფედერიკო ბალცარეტი** მოქმედებდნენ – აქვე აღვნიშნოთ, რომ ერთმაც და მეორემაც პირველად იასპარეზეს ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე.

ნახევარდაცვაში აიწია **დანიელე დე როსიმ**, რომელიც **კლაუდიო მარკიზიოს**, **ანდრეა პირლოსა** და **ტიაგო მოტას** შეუერთდა. შეტევის წინა ხაზზე **ანტონიო კასანოსთან** ერთად, **ანტონიო დი ნატალე** გაამწესეს და არა **მარიო ბალოტელი** – თუმცა, ეს უკანასკნელი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში და ულამაზესი გოლიც გაიტანა. იტალიელები ბურთის კონტროლზე აკეთებდნენ აქცენტს და ეს საქმე ძალიან კარგადაც გამოსდიოდათ – არაერთი ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს და პირველ ტაიმშივე, დიდი ანგარიშით შეეძლოთ თამაშის წაყვანა. შეხვედრის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე, პრანდელიმ კასანო მოხსნა თამაშიდან და მის ნაცვლად მოედანზე შუახაზელი **ალესანდრო დიამანტი** შეუშვა – თამამად შეიძლება ითქვას, რომ დარჩენილ დროში, კელტებმა თვალებში გამოიხედეს, მეტოქის ნახევარზე გადავიდნენ და ანგარიშის გათანაბრებაც შეეძლოთ. თუმცა, ფორტუნა ძლიერის მხარეს აღმოჩნდა - ზედ საფინალო სატვენის წინ, მარიო ბალოტელიმ მეორე გოლი შეაგდო და საბოლოო შედეგი დააფიქსირა, 2:0.

### საუკეთესო ფეხბურთელი

**ფედერიკო ბალცარეტი (იტალია)**

იტალიის ნაკრების შემადგენლობიდან არაერთი ფეხბურთელის გამორჩევა შეიძლება, მაგრამ არჩევანი ერთზე უნდა შევაჩეროთ და ეს ერთი ფედერიკო ბალცარეტი გახლავთ. მარცხენა ფრთას სრულად აკონტროლებდა, საიმედო იყო დაცვითი ფუნქციების შესრულებისას და ძალიან სახიფათო შეტევებში ჩართვის დროს. ბალცარეტიმ სადებიუტო მატჩი ჩაატარა ევროპის ჩემპიონატზე და სავარაუდოდ, მომდევნო შეხვედრაშიც ძირითად შემადგენლობაში იქნება.

### ფეხბურთელი იმედგაცრუება

**კეით ენდრიუზი (ირლანდია)**

ირლანდიელებმა ზოგადად დატოვეს ცუდი შთაბეჭდილება და მათ შორის უარესის არჩევა მეტად რთული მისია აღმოჩნდა – თუმცა, **კეით ენდრიუზმა** მაინც ყველას აჯობა, რადგან მთელი თამაში ანდრეა პირლოს უშედეგოდ დასდევდა, ბოლოს კი ნერვებმოშლილმა სულაც წითელი ბარათი მიიღო.

### მსაჯი

**ჩუნით ჩაქირმა** რამდენიმე ეპიზოდში ალაშფოთა იტალიელები, ყველაზე მეტად კი მაშინ, როდესაც "სკუადრა აძურას" სასარგებლოდ თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. არადა, იმ ეპიზოდში ირლანდიელ უკანახაზელს მართლაც მოხვდა ბურთი ხელზე. სამაგიეროდ, არბიტრთა მთელი ბრიგადა შესანიშნავად გაერკვა პირველი გოლის ეპიზოდში, როდესაც ანტონიო კასანოს თავური დარტყმის შემდეგ, ბურთმა სულ რამდენიმე სანტიმეტრით გადაკვეთა კარის ხაზი. სწორედ ამიტომ, თურქი რეფერი და მისი ასისტენტები ქებას იმსახურებენ.

### მწვრთნელების დუელი

**ჯოვანი ტრაპატონისა** და მისი ირლანდიის ბევრი ვერაფერი გავიგეთ, აი ჩეზარე პრანდელი კი უკვე მესამე თამაშია გაორებულ შთაბეჭდილებას გვიტოვებს – შეხვედრის დიდი ნაწილი, მისი იტალია ძალიან ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, შეტევაში დიდ პოტენციალს ავლენს და სიმპათიასაც იმსახურებს, მაგრამ, აი ბოლო ნახევარ საათში უკან იხევს და უბურთოდ დარჩენილ მეტოქეს, შანსს აძლევს. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც და გამომდინარე აქედან, ვერაფრით დავიჩემებთ, რომ სენიორ ჩეზარემ ირლანდიასთან თამაში უბადლო ტაქტიკური სვლებით მოიგო.



იტალიელთა ჯგუფიდან გასვლაში ანდრეა პირლოს უდიდესი წვლილი მიუძღვის

### ანალიზი

თუ ბოლო ნახევარ საათს არ ჩავთვლით, ნათლად გამოჩნდა, რომ იტალიის ეროვნული ნაკრები გაცილებით ძლიერია, ვიდრე ირლანდიის უმთავრესი გუნდი. საერთოდ, კელტებმა აშკარად გაგვაწბილეს – თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სუსტი ირლანდია ბოლო წლებში არ გვინახავს და დავიტოვოთ იმედი, რომ არც მომავალში ვნახავთ. არ იფიქროთ, ირლანდიურ ფეხბურთზე ძალიან შეგვტკიოდეს გული, უბრალოდ, ასეთ გუნდს ევროპის ჩემპიონატზე არაფერი ესაქმება და მხოლოდ საერთო სურათს აფუჭებს.

რაც შეეხება იტალიის ნაკრებს, მიუხედავად ტრადიციული ტანჯვა-წამებისა, ამ გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე მაინც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ნათლად გამოჩნდა, რომ უდიდესი პოტენცია აქვს. შესაბამისად, დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ ის, რასაც აქამდე ვერიდებოდით – იტალია ევროპის ჩემპიონატის ფავორიტია.

### დასკვნა

დიახ, ახლა უკვე იტალია ფავორიტია...

**ლაშა წიკლაური**



გახარებული „სკუადრა აძურა"



## უცხოური ფეხბურთი

ინგლისი.

# პრემიერლიგის 2012-13 წლების სეზონის კალენდარი

**I ტური. 18 აგვისტო**

არსენალი-სანდერლენდი
ევერტონი-მანჩესტერ იუნ
ფულჰემი-ნორვიჩი
მანჩესტერ სიტი-საუთჰემპტონი
ნიუკასლი-ტოტენჰემი
ქუინზ პარკი-სუონსი
რედინგი-სტოკი
ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული
ვესტ ჰემი-ასტონი ვილა
უიგანი-ჩელსი

**II ტური. 25 აგვისტო**

ასტონი ვილა-ევერტონი
ჩელსი-ნიუკასლი
ლივერპული-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ფულჰემი
ნორვიჩი-ქუინზ პარკი
საუთჰემპტონი-უიგანი
სტოკი-არსენალი
სანდერლენდი-რედინგი
სუონსი-ვესტ ჰემი
ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი

**III ტური. 1 სექტემბერი**

ჩელსი-რედინგი
ლივერპული-არსენალი
მანჩესტერ სიტი-ქუინზ პარკი
ნიუკასლი-ასტონი ვილა
საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ
სუონსი-სანდერლენდი
ტოტენჰემი-ნორვიჩი
ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი
ვესტ ჰემი-ფულჰემი
უიგანი-სტოკი

**IV ტური. 15 სექტემბერი**

არსენალი-საუთჰემპტონი
ასტონი ვილა-სუონსი
ევერტონი-ნიუკასლი
ფულჰემი-ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერ იუნ-უიგანი
ნორვიჩი-ვესტ ჰემი
ქუინზ პარკი-ჩელსი
რედინგი-ტოტენჰემი
სტოკი-მანჩესტერ სიტი
სანდერლენდი-ლივერპული

**V ტური. 22 სექტემბერი**

ჩელსი-სტოკი
ლივერპული-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-არსენალი
ნიუკასლი-ნორვიჩი
საუთჰემპტონი-ასტონი ვილა
სუონსი-ევერტონი
ტოტენჰემი-ქუინზ პარკი
ვესტ ბრომვიჩი-რედინგი
ვესტ ჰემი-სანდერლენდი
უიგანი-ფულჰემი

**VI ტური. 29 სექტემბერი**

არსენალი-ჩელსი
ასტონი ვილა-ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი-საუთჰემპტონი
ფულჰემი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი
ნორვიჩი-ლივერპული
ქუინზ პარკი-ვესტ ჰემი
რედინგი-ნიუკასლი
სტოკი-სუონსი
სანდერლენდი-უიგანი

**VII ტური. 6 ოქტომბერი**

ჩელსი-ნორვიჩი
ლივერპული-სტოკი
მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი
ნიუკასლი-მანჩესტერ იუნ
საუთჰემპტონი-ფულჰემი
სუონსი-რედინგი
ტოტენჰემი-ასტონი ვილა
ვესტ ბრომვიჩი-ქუინზ პარკი
ვესტ ჰემი-არსენალი
უიგანი-ევერტონი

**VIII ტური. 20 ოქტომბერი**

ფულჰემი-ასტონი ვილა
ლივერპული-რედინგი
მანჩესტერ იუნ-სტოკი
ნორვიჩი-არსენალი
ქუინზ პარკი-ევერტონი
სანდერლენდი-ნიუკასლი
სუონსი-უიგანი
ტოტენჰემი-ჩელსი
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი

**IX ტური. 27 ოქტომბერი**

არსენალი-ქუინზ პარკი
ასტონი ვილა-ნორვიჩი
ჩელსი-მანჩესტერ იუნ
ევერტონი-ლივერპული
მანჩესტერ სიტი-სუონსი
ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი
რედინგი-ფულჰემი
საუთჰემპტონი-ტოტენჰემი
სტოკი-სანდერლენდი
უიგანი-ვესტ ჰემი

**X ტური. 3 ნოემბერი**

ფულჰემი-ევერტონი
ლივერპული-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ-არსენალი
ნორვიჩი-სტოკი
ქუინზ პარკი-რედინგი
სანდერლენდი-ასტონი ვილა
სუონსი-ჩელსი
ტოტენჰემი-უიგანი
ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი

**XI ტური. 10 ნოემბერი**

არსენალი-ფულჰემი
ასტონი ვილა-მანჩესტერ იუნ
ჩელსი-ლივერპული
ევერტონი-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი
ნიუკასლი-ვესტ ჰემი
რედინგი-ნორვიჩი
საუთჰემპტონი-სუონსი
სტოკი-ქუინზ პარკი
უიგანი-ვესტ ბრომვიჩი

**XII ტური. 17 ნოემბერი**

არსენალი-ტოტენჰემი
ფულჰემი-სანდერლენდი
ლივერპული-უიგანი
მანჩესტერ სიტი-ასტონი ვილა
ნიუკასლი-სუონსი
ნორვიჩი-მანჩესტერ იუნ
ქუინზ პარკი-საუთჰემპტონი
რედინგი-ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი
ვესტ ჰემი-სტოკი

**XIII ტური. 24 ნოემბერი**

ასტონი ვილა-არსენალი
ჩელსი-მანჩესტერ სიტი
ევერტონი-ნორვიჩი
მანჩესტერ იუნ-ქუინზ პარკი
საუთჰემპტონი-ნიუკასლი
სტოკი-ფულჰემი
სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი
სუონსი-ლივერპული
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი
უიგანი-რედინგი

**XIV ტური. 27 ნოემბერი**

ასტონი ვილა-რედინგი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი-ნორვიჩი
სტოკი-ნიუკასლი
სანდერლენდი-ქუინზ პარკი
სუონსი-ვესტ ბრომვიჩი
ტოტენჰემი-ლივერპული
უიგანი-მანჩესტერ სიტი
ჩელსი-ფულჰემი
ევერტონი-არსენალი

**XV ტური. 1 დეკემბერი**

არსენალი-სუონსი
ფულჰემი-ტოტენჰემი
ლივერპული-საუთჰემპტონი
მანჩესტერ სიტი-ევერტონი
ნიუკასლი-უიგანი
ნორვიჩი-სანდერლენდი
ქუინზ პარკი-ასტონი ვილა
რედინგი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი
ვესტ ჰემი-ჩელსი

**XVI ტური. 8 დეკემბერი**

არსენალი-ვესტ ბრომვიჩი
ასტონი ვილა-სტოკი
ევერტონი-ტოტენჰემი
ფულჰემი-ნიუკასლი
მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ
საუთჰემპტონი-რედინგი
სანდერლენდი-ჩელსი
სუონსი-ნორვიჩი
ვესტ ჰემი-ლივერპული
უიგანი-ქუინზ პარკი

**XVII ტური. 15 დეკემბერი**

ჩელსი-საუთჰემპტონი
ლივერპული-ასტონი ვილა
მანჩესტერ იუნ-სანდერლენდი
ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი
ნორვიჩი-უიგანი
ქუინზ პარკი-ფულჰემი
რედინგი-არსენალი
სტოკი-ევერტონი
ტოტენჰემი-სუონსი
ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი

**XVIII ტური. 22 დეკემბერი**

ჩელსი-ასტონი ვილა
ლივერპული-ფულჰემი
მანჩესტერ სიტი-რედინგი
ნიუკასლი-ქუინზ პარკი
საუთჰემპტონი-სანდერლენდი
სუონსი-მანჩესტერ იუნ
ტოტენჰემი-სტოკი
ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი
ვესტ ჰემი-ევერტონი
უიგანი-არსენალი

**XIX ტური. 26 დეკემბერი**

არსენალი-ვესტ ჰემი
ასტონი ვილა-ტოტენჰემი
ევერტონი-უიგანი
ფულჰემი-საუთჰემპტონი
მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი
ნორვიჩი-ჩელსი
ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი
რედინგი-სუონსი
სტოკი-ლივერპული
სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი

**XX ტური. 29 დეკემბერი**

არსენალი-ნიუკასლი
ასტონი ვილა-უიგანი
ევერტონი-ჩელსი
ფულჰემი-სუონსი
მანჩესტერ იუნ-ვესტ ბრომვიჩი
ნორვიჩი-მანჩესტერ სიტი
ქუინზ პარკი-ლივერპული
რედინგი-ვესტ ჰემი
სტოკი-საუთჰემპტონი
სანდერლენდი-ტოტენჰემი

**XXI ტური. 1 იანვარი**

ჩელსი-ქუინზ პარკი
ლივერპული-სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი-სტოკი
ნიუკასლი-ევერტონი
საუთჰემპტონი-არსენალი
სუონსი-ასტონი ვილა
ტოტენჰემი-რედინგი
ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი
ვესტ ჰემი-ნორვიჩი
უიგანი-მანჩესტერ იუნ

**XXII ტური. 12 იანვარი**

არსენალი-მანჩესტერ სიტი
ასტონი ვილა-საუთჰემპტონი
ევერტონი-სუონსი
ფულჰემი-უიგანი
მანჩესტერ იუნ-ლივერპული
ნორვიჩი-ნიუკასლი
ქუინზ პარკი-ტოტენჰემი
რედინგი-ვესტ ბრომვიჩი
სტოკი-ჩელსი
სანდერლენდი-ვესტ ჰემი

**XXIII ტური. 19 იანვარი**

ჩელსი-არსენალი
ლივერპული-ნორვიჩი
მანჩესტერ სიტი-ფულჰემი
ნიუკასლი-რედინგი
საუთჰემპტონი-ევერტონი
სუონსი-სტოკი
ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ბრომვიჩი-ასტონი ვილა
ვესტ ჰემი-ქუინზ პარკი
უიგანი-სანდერლენდი

**XXIV ტური. 29 იანვარი**

არსენალი-ლივერპული
ასტონი ვილა-ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ-საუთჰემპტონი
ნორვიჩი-ტოტენჰემი
ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი
რედინგი-ჩელსი
სტოკი-უიგანი
სანდერლენდი-სუონსი
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი
ფულჰემი-ვესტ ჰემი

**XXV ტური. 2 თებერვალი**

არსენალი-სტოკი
ევერტონი-ასტონი ვილა
ფულჰემი-მანჩესტერ იუნ
მანჩესტერ სიტი-ლივერპული
ნიუკასლი-ჩელსი
ქუინზ პარკი-ნორვიჩი
რედინგი-სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-სუონსი
უიგანი-საუთჰემპტონი




პრემიერლიგის გასული სეზონის გამარჯვებული მანჩესტერ სიტი გახდა

**XXVI ტური. 9 თებერვალი**

ასტონი ვილა-ვესტ ჰემი
ჩელსი-უიგანი
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი
მანჩესტერ იუნ-ევერტონი
ნორვიჩი-ფულჰემი
საუთჰემპტონი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-რედინგი
სანდერლენდი-არსენალი
სუონსი-ქუინზ პარკი
ტოტენჰემი-ნიუკასლი

**XXVII ტური. 23 თებერვალი**

არსენალი-ასტონი ვილა
ფულჰემი-სტოკი
ლივერპული-სუონსი
მანჩესტერ სიტი-ჩელსი
ნიუკასლი-საუთჰემპტონი
ნორვიჩი-ევერტონი
ქუინზ პარკი-მანჩესტერ იუნ
რედინგი-უიგანი
ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი

**XXVIII ტური. 2 მარტი**

ასტონი ვილა-მანჩესტერ სიტი
ჩელსი-ვესტ ბრომვიჩი
ევერტონი-რედინგი
მანჩესტერ იუნ-ნორვიჩი
საუთჰემპტონი-ქუინზ პარკი
სტოკი-ვესტ ჰემი
სანდერლენდი-ფულჰემი
სუონსი-ნიუკასლი
ტოტენჰემი-არსენალი
უიგანი-ლივერპული

**XXIX ტური. 9 მარტი**

არსენალი-ევერტონი
ფულჰემი-ჩელსი
ლივერპული-ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი-უიგანი
ნიუკასლი-სტოკი
ნორვიჩი-საუთჰემპტონი
ქუინზ პარკი-სანდერლენდი
რედინგი-ასტონი ვილა
ვესტ ბრომვიჩი-სუონსი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ

**XXX ტური. 16 მარტი**

ასტონი ვილა-ქუინზ პარკი
ჩელსი-ვესტ ჰემი
ევერტონი-მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ-რედინგი
საუთჰემპტონი-ლივერპული
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი
სანდერლენდი-ნორვიჩი
სუონსი-არსენალი
ტოტენჰემი-ფულჰემი
უიგანი-ნიუკასლი

**XXXI ტური. 30 მარტი**

არსენალი-რედინგი
ასტონი ვილა-ლივერპული
ევერტონი-სტოკი
ფულჰემი-ქუინზ პარკი
მანჩესტერ სიტი-ნიუკასლი
საუთჰემპტონი-ჩელსი
სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ
სუონსი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-ვესტ ბრომვიჩი
უიგანი-ნორვიჩი

**XXXII ტური. 6 აპრილი**

ჩელსი-სანდერლენდი
ლივერპული-ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ-მანჩესტერ სიტი
ნიუკასლი-ფულჰემი
ნორვიჩი-სუონსი
ქუინზ პარკი-უიგანი
რედინგი-საუთჰემპტონი
სტოკი-ასტონი ვილა
ტოტენჰემი-ევერტონი
ვესტ ბრომვიჩი-არსენალი

**XXXIII ტური. 13 აპრილი**

არსენალი-ნორვიჩი
ასტონი ვილა-ფულჰემი
ჩელსი-ტოტენჰემი
ევერტონი-ქუინზ პარკი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ბრომვიჩი
ნიუკასლი-სანდერლენდი
რედინგი-ლივერპული
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი
სტოკი-მანჩესტერ იუნ
უიგანი-სუონსი

**XXXIV ტური. 20 აპრილი**

ფულჰემი-არსენალი
ლივერპული-ჩელსი
მანჩესტერ იუნ-ასტონი ვილა
ნორვიჩი-რედინგი
ქუინზ პარკი-სტოკი
სანდერლენდი-ევერტონი
სუონსი-საუთჰემპტონი
ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი
ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი
ვესტ ჰემი-უიგანი

**XXXV ტური. 27 აპრილი**

არსენალი-მანჩესტერ იუნ
ასტონი ვილა-სანდერლენდი
ჩელსი-სუონსი
ევერტონი-ფულჰემი
მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი
ნიუკასლი-ლივერპული
რედინგი-ქუინზ პარკი
საუთჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი
სტოკი-ნორვიჩი
უიგანი-ტოტენჰემი

**XXXVI ტური. 4 მაისი**

ფულჰემი-რედინგი
ლივერპული-ევერტონი
მანჩესტერ იუნ-ჩელსი
ნორვიჩი-ასტონი ვილა
ქუინზ პარკი-არსენალი
სანდერლენდი-სტოკი
სუონსი-მანჩესტერ სიტი
ტოტენჰემი-საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი-უიგანი
ვესტ ჰემი-ნიუკასლი

**XXXVII ტური. 12 მაისი**

არსენალი-უიგანი
ასტონი ვილა-ჩელსი
ევერტონი-ვესტ ჰემი
ფულჰემი-ლივერპული
მანჩესტერ იუნ-სუონსი
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი
ქუინზ პარკი-ნიუკასლი
რედინგი-მანჩესტერ სიტი
სტოკი-ტოტენჰემი
სანდერლენდი-საუთჰემპტონი

**XXXVIII ტური. 19 მაისი**

ჩელსი-ევერტონი
ლივერპული-ქუინზ პარკი
მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი
ნიუკასლი-არსენალი
საუთჰემპტონი-სტოკი
სუონსი-ფულჰემი
ტოტენჰემი-სანდერლენდი
ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ
ვესტ ჰემი-რედინგი
უიგანი-ასტონი ვილა

ძიუდო. არგენტინის ტურნირი


ბეთქილ შუკვანი (მარჯვნივ)


ლაშა შავდათუაშვილი


ავთანდილ ჭრიკიშვილი (მარჯვნივ)


ლომერ ჟორჟოლიანი (მარჯვნივ)


ადამ ოქრუაშვილი (მარჯვნივ)

# ქართველი ხუთივე ჩემპიონია

## მაქსიმალური შედეგი

**საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ოლიმპიურმა ნაკრებმა 100-პროცენტიანი შედეგით დაასრულა გამოსვლა ბუენოს აირესში გამართულ მსოფლიოს თასზე. არგენტინაში მოჭიდავე ქართველთაგან ყველა – ბეთქილ შუკვანი (60), ლაშა შავდათუაშვილი (66), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და ადამ ოქრუაშვილი (+100) ჩემპიონი გახდა.**

მოლოდინისამებრ, მაინცდამაინც ძლიერი არც ეს ტურნირი გამოდგა – მთლიანად მასში 18 ქვეყნის 138 ძიუდოისტი გამოდიოდა, კონკრეტულად ვაჟთა შორის კი 89 ფალავანი ასპარეზობდა. მონაწილეთა უმრავლესობას სამხრეთამერიკული გუნდები შეადგენდნენ, ხოლო სახელობითი სიები ლამის იგივე იყო, რაც ერთი კვირის წინათ - რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე". ცხადია, ლიდერთა უმეტესობა არც ამჯერად ვიხილეთ ტატამზე.

შუკვანმა არგენტინაში სულ სამი შეხვედრა გამართა და რიოს ტურნირის მსგავსად, ამჯერადაც ყველა წმინდად მოიგო. იმ სამიდან მისთვის უცნობი მხოლოდ არგენტინელი გაბრიელ საბატინო იყო, რომელსაც პირველ წრეში გადაეყარა, ხოლო ბრაზილიელებს – **ბრენო ალვეშს** რიო დე ჟანეიროში ნახევარფინალში, **დიეგო სანტოსს** კი ფინალში აჯობა. ალვეში ბრაზილიელთა მეორე ნომერია და სალიცენზიო 22-კაციან სიაშიც მოხვდა, ჩვენებური კი უკვე მეორე ტურნირია, ასე იოლად უგებს.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად ხუთი მოგება დასჭირდა შავდათუაშვილს, რომელსაც იქნებ ძლიერი მეტოქეები არ შეხვდნენ, მაგრამ საოლიმპიადოდ კარგი სტარტი გამოუვიდა. ხუთიდან ოთხი ორთაბრძოლა მან წმინდად მოიგო – არგენტინელ **მარტინ ლაურეანოსთან**, ურუგვაელ **ივან დუარტესთან**, ნახევარფინალში არგენტინელ **ფერნანდო გონსალესთან** და ფინალში ბრაზილიელ **ლუის რევიტესთან**. მას მხოლოდ ერთადერთ შეხვედრაში გაუჭირდა – ბრიტანელ **ნათან ბურნსთან**, რომელთანაც პაექრობა გაფრთხილებებით დაასრულა თავის სასარგებლოდ.

ჭრიკიშვილმა ჩილელ **როდრიგო ოდრის** და ბრაზილიელ **ფრედერიკო ბერნარდო არაუჟოს** იპონებით მოუგო, ბრიტანელი **ტომას დევისი** კი ორი გაფრთხილებით დაამარცხა. ფინალიც საკმაოდ დაძაბული გამოდგა ძლიერ ბრაზილიელ **ნაკიფ ელიასთან,** თუმცა ჩვენებურმა იუკოთი მაინც იმარჯვა.

ჟორჟოლიანისთვის ამ შეჯიბრებას რიგით ტურნირზე გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ წონაში ოლიმპიადაზე წამსვლელი ჯერ კიდევ არაა გამოვლენილი. ჟორჟოლიანმა ბრაზილიელ **ვიქტორ ისაქუე კონსერვას** წმინდად მოუგო, მის თანამემამულე **მეთიუ და სილვას** კი ვაზარით აჯობა. ფინალშიც ბრაზილიელი ჰყავდა მეტოქედ – **რენან ნუნესი,** რომელიც არცთუ ძლიერია. ჩვენებურმა მასთან მცირე უპირატესობით იმარჯვა.

ოქრუაშვილი ტურნირში პირდაპირ ნახევარფინალიდან ჩაება და ორივე შეხვედრა იპონით მოიგო - კოლუმბიელი **ლუის სალასართან** და ბრაზილიელ **დევიდ მოურასთან,** ვინაც ერთი კვირის წინათ რიოშიც დაამარცხა.

ჩვენი ნაკრები ამ დღეებში დაბრუნდება არგენტინიდან, რამდენიმე დღე თბილისში ივარჯიშებს, მერე კი ევროპული ფედერაციის მიერ ორგანიზებულ საწვრთნელ კემპებზე გაემგზავრება ჩეხეთსა და ესპანეთში. გუნდი ევროპიდან 6 ივლისს დაბრუნდება და, სავარაუდოდ, ავსტრიელი მთავარი მწვრთნელი **პეტერ ზაიზენბახერი** ოლიმპიური გუნდის საბოლოო შემადგენლობასაც მაშინ დაასახელებს, რადგან 9 ივლისს უკვე სიის წარდგენის ვადა იწურება. შეგახსენებთ, რომ ჩვენგან ოლიმპიადაში გამოსვლის უფლება უკვე მოიპოვეს შავდათუაშვილმა, **ნუგზარ ტატალაშვილმა** (73), ჭრიკიშვილმა და **ვალერი ლიპარტელიანმა** (90), მწვრთნელს კი გასარკვევი 60, 100 და +100 კილოგრამები დარჩა. თუმცა მძიმეშიც ბევრი არაფერია საჭოჭმანო – **ზვიად ხანჯალიაშვილის** ტრავმამ კითხვის ნიშნები მოხსნა.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ლონდონში წასვლამდე დასკვნით შეკრებას დუშეთში გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. ახალგაზრდული პირველობის ექო

# ისევ გავძლიერდებით

შიდა ქართლის ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ მოიპოვა გუნდურ ჩათვლაში ქვეყნის ახალგაზრდულ პირველობაზე საუკეთესოს სახელი. ამას წინათ ჩატარებულ წლევანდელ ანალოგიურ შეჯიბრებაში კი პირველობა დათმო. თუმცა აღსანიშნავია, რომ ასპარეზობაში პირველი ადგილის ორი რეალური კანდიდატის გარეშე ჩაერთო. შიდაქართლელთა გამოსვლის შეფასება ნაკრების მწვრთნელს **ანზორ თენაძეს** ვთხოვეთ.

„საქართველოს ახალგაზრდულ პირველობას წლეულს წინ უძღვოდა შიდა სარეიტინგო ტურნირები და საერთაშორისო შეჯიბრებები, რომლებზეც ზოგიერთ წონით კატეგორიაში აშკარად გამოიკვეთა ფავორიტები. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გუგავამ ამ ძიუდოისტებს საშუალება მისცა ამჯერად დაესვენათ. სხვა რეგიონების რამდენიმე სპორტსმენთან ერთად ჩვენი გუნდის წევრებმა ვაჟა მარგველაშვილმა (60) და ბექა ლვინიაშვილმაც (81) სწორედ ამიტომ გამოტოვეს ქვეყნის პირველობა. არა მხოლოდ თავის ასაკში, უფროსებს შორისაც ბექას მიერ მიღწეული ბოლოდროინდელი წარმატებების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება და ნაკრებში მისი ფავორიტის რანგში ყოფნა მოულოდნელი არაა. მარგველაშვილმა კი ჯერ სარეიტინგო ტურნირების და შემდეგ საბერძნეთის და უკრაინის საერთაშორისო შეჯიბრების მოგების მერე გააკეთა სერიოზული განაცხადი ლიდერობაზე თავის წონაში. ამ ორი ფალავანის არყოფნაში ძნელია საქართველოს პირველობაზე შიდა ქართლის გუნდის გამოსვლის სრულფასოვანი შეფასება. სპორტში მოულოდნელი შედეგიც ხშირად ფიქსირდება და გადაჭრით მტკიცება, რომ ის ორი ფავორიტი შეჯიბრებისას უთუოდ პირველ ადგილზე გავიდოდნენ, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი ბოლომდე კმაყოფილი მაინც ვერ ვიქნებოდით. ზოგიერთმა სუსტად იასპარეზა. მაგალითად, 66 კგ-ში ჩვენ საკმაოდ ძლიერი ძიუდოისტები გვყავს - ირაკლი ლომიძე და ანდრო ბერუაშვილი და მათგან ერთ-ერთის პირველობას უთუოდ ველოდით, თუმცა, სამწუხაროდ, საპრიზო ადგილზეც ვერ გავიდნენ. არადა, გორში გამორჩეული სპორტსმენები გვყავს ამ წონაში. ოლიმპიადაზეც 73 კგ-თან ერთად სწორედ ამ წონაში გვეყოლება ლაშა შავდათუაშვილი. 81 კგ-შიც, მიუხედავად ტატამზე ლვინიაშვილის არყოფნისა, ჩემპიონობას ვუგეგმავდით ალეკო ზაალიშვილს, რომელიც შიდა სარეიტინგო შეჯიბრებებზეც შესანიშნავად გამოვიდა და ბოლოს კიევიდანაც მარგველაშვილთან ერთად ოქროს მედლით დაგვიბრუნდა. ახლა კი მხოლოდ ბრინჯაო იკმარა. სამაგიეროდ ბრწყინვალედ იასპარეზა მინდია ლოლიჯაშვილმა (55). მან ყველა შეხვედრაში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვებებით უწია კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს. მინდია წლეულს ორივე სარეიტინგო შეჯიბრებაზე ფინალისტი გახდა, საბერძნეთის ტურნირზე კი ნაკრებში ლიდერობისათვის თავის უმთავრეს კონკურენტს მოუგო შეხვედრა. ამავე წონაში ივანე ჯავახიშვილი მესამე ადგილზე გავიდა. ცოტა მოულოდნელი და შესაბამისად უფრო სასიხარულო იყო წონაში გიგა გელაშვილის ბრინჯაოს პრიზიორობა, რადგან მან ფაქტობრივად ასაკით დიდებთან იჭიდავა. მთლიანობაში კი თავისუფალად შემიძლია ვთქვა, რომ გორელებს და ზოგადად შიდა ქართლელებს ახალგაზრდებში ამჯერადაც კარგი გუნდი გვყავს და სამომავლოდ უფროსებში ისევ გავძლიერდებით" - გვითხრა ანზორ თენაძემ.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...


გამარჯვებულები და საქართველოს 8 გზის ფალავანი ალექსი დავითაშვილი

# ყმაწვილებმა ჩოხა მოირგეს

**ძალიან კარგია, რომ ბოლო დროს მომრავლდა ქართული ჭიდაობის შეჯიბრებები უმცროსი ასაკის სპორტსმენების მონაწილეობით. ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. ზონალური პირველობები უმცროს ასაკში თითქმის ყველა რეგიონში ეწყობა.**

ხაშურის რაიონის სოფელ ვაყას ცნობილ საზაფხულო საჭიდაო დარბაზში მორიგი ზონალური პირველობა გაიმართა 2000-2001 წლებში დაბადებულ ყმაწვილთა შორის. სწორედ ამ ასაკიდან იწყება ჩოხიან მოჭიდავეთა (ქართული, სამბო, ძიუდო) სპორტული შედეგების აღნუსხვა.

ასპარეზობაში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რაიონებისა და ქალაქების მოჭიდავეებმა იასპარეზეს.

მონაწილეთა სიმრავლით ქარელელები აქ ყველაზე მეტნი იყვნენ და შედეგებითაც იყოჩაღეს.

ყმაწვილთა ზონალური პირველობების ყველა გამარჯვებული და პრიზიორი ივნისის ბოლოს თბილისში ფინალურ პირველობაზე შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

### კვარცხლბეკი

**30 კგ.** 1. გიორგი ბედოშვილი (ხაშური), 2. გიორგი ლურსმანაშვიილი (ქარელი), 3. ნიკა ჭალარაშვილი (მცხეთა).

**34 კგ.** 1. ვასილ ნოზაძე (ხაშური), 2. გიორგი ლომიტაშვილი (ქარელი), 3. მიხეილ ნოზაძე (ხაშური).

**38 კგ.** 1 ნიკა ხარაზიშვილი (ქარელი), 2. ალეკო ნებიერიძე (გორი), 3. შოთა ხაბელაშვილი (ქარელი).

**42 კგ.** 1. ვლადიმერ ახალკაცი (ქარელი), 2. დავით დათიაშვილი (ხაშური), 3. გიორგი ზაქარაშვილი (კასპი).

**46 კგ.** 1 ოთარ პირველი, 2. გიორგი შათირიშვილი, 3. გიორგი გულიაშვილი (სამივე — ქარელი).

**50 კგ.** 1 გიორგი ადამაშვილი (მცხეთა), 2. დემეტრე ბერუაშვილი (ქარელი)-მესამე პრიზიორი არ გამოვლენილა.

**55 კგ.** 1. ნოდარ კუთხაშვილი (ქარელი), 2. რატი ხატიური (ხაშური), 3. მალხაზ ხარებაშვილი (ქარელი).

**+55 კგ.** 1. ილია საათაშვილი (გორი), 2. გიორგი კარიაული (დუშეთი), 3. სანდრო გიორგაძე (ქარელი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული პირველობა



# ქართული კვარტეტის ხორვატული ნათლობა

დღეს ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის ევროპის ჩემპიონატი დაიწყება, რომელსაც თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გახსნიან.

ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ნუგზარ სხირელის** გადაწყვეტილებით, ზაგრებში საქართველოს ღირსებას **ბექა ბუჯიაშვილი** (50), **ლაშა ტალახაძე** (55), **ლევან ქელეხსაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), **სანდრო ამინაშვილი** (84), **ომარ გუსოშვილი** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120) დაიცავენ. ამათ დღეს ბუჯიაშვილი, ქელეხსაშვილი, ყველაშვილი და გუსოშვილი იჭიდავებენ, დანარჩენები კი ხვალ შეეცდებიან მედლების მოპოვებას.

ბერძენ-რომაელები ჩემპიონატში 23-24 ივნისს იასპარეზებენ. **ვლადიმერ ადეიშვილმა** გუნდის შემადგენლობაში **დავით სანიკიანი** (50), **რამაზ სურმანიძე** (55), **ფირუზ წულუკიძე** (60), **გიორგი დავითაია** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **იაკობ ქაჯაია** (96) და **ლევან არაბული** (120) შეიყვანა.

**ირაკლი თავაძე**

ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# ამერიკაში – ლონდონის ლიცენზიებისთვის

დღეს ამერიკულ ოგდენში მშვილდოსანთა სეზონის მესამე მსოფლიოს თასი იწყება, რომელიც პარალელურად, სალიცენზიო ტურნირიცაა. მასში საქართველოდან ვაჟთა და ქალთა გუნდები იასპარეზებენ. ქალთა ნაკრებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე** და **ასმათ დიასამიძე** გამოვლენ, ვაჟთაში – **ლაშა ფხაკაძე, ირაკლი ქვლივიძე და თორნიკე რიჟამაძე.**

დღეს მორმონთა ციტადელად წოდებულ სოლტ ლეიკ სიტის ახლომდებარე ოგდენში საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები გაიმართება და გაირკვევა იმ ნაკრებების ვინაობა, რომლებსაც 21 ივნისს გუნდურ სალიცენზიო შეჯიბრებაში ვიხილავთ. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანიც ეს დღეა, რადგან ლიცენზიებისთვის დავაში ორივე გუნდი ჩაებმება. ლიცენზიის გარანტი სამეულში მოხვედრაა, თუმცა საგზურს პირად პირველობაში ხუთეულში მოხვედრაც იძლევა, მაგრამ იქ ჩვენგან ქალები ვერ გამოვლენ, რაკი ერთი ლიცენზია მათ უკვე აქვთ.

ოგდენის ტურნირი არც ისე ძლიერია, რადგან წამყვანი გუნდების უმეტესობა ოლიმპიადისთვის საგანგებო პროგრამით ემზადება. მაგალითად, ჩინეთისა და კორეის გუნდები საერთოდ არ ჩასულან ამერიკაში. სამაგიეროდ, ქალთა ტურნირში ყველა ის ნაკრებია, რომლებიც ჩვენსავით კვლავაც ეძებენ ლიცენზიებს – პოლონეთი, იაპონია, საკუთრივ ამერიკა, მექსიკა, გერმანია, მალაიზია... მთლიანობაში, ჩვენს ქალებს იოლი გასეირნება არ ელოდებათ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ევროპის თასის ჯერი დადგა



ანასტასია სიდამონიძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა 10 წლის მოჭადრაკეთა დედაქალაქის თასის გათამაშება, რომელშიც 30 გოგო-ბიჭი მონაწილეობდა. შეჯიბრების დამთავრებამდე ტურით ადრე პირველი ადგილი გაინაღდა **ნიკოლოზ პეტრიაშვილმა,** რომელმაც ზედიზედ ექვსი პარტია მოიგო. გუშინ იგი **დათა ნადარეიშვილს** დაუზავდა და 7 შესაძლებლიდან 6,5 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა. **ლუკა ობოლაძემ დავით გაბუნიას** სძლია და 6 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. 5,5 ქულით მესამე ადგილი ნადარეიშვილს ხვდა.

გოგონებში პირველი ადგილის ორი ფავორიტი იყო - **ანასტასია სიდამონიძე** და **თამარ ლაგაზაური.** გუშინ ლაგაზაურს მეტოქე არ გამოუცხადდა და გათამაშების ცხრილში მე-4 გამარჯვება ჩაეწერა, ყველაფერი სიდამონიძე - **ლაშა მიქაბერიძის** შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. ანასტასიამ შეძლო ყაიმისთვის მიეღწია და 4,5 ქულით მეტოქეებს აჯობა. მეორე ადგილი ლაგაზაურს ერგო. ბრინჯაოს მედლისთვის 8 წლის **კატო ფიფიამ იანა ენგიბარიანს** მოუგო და ოთხი ქულა მოაგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით გათამაშების ცხრილის მესამე საფეხურზე აღმოჩნდა.

ქუთაისში 6-13 ივლისს 8-12 წლის მოჭადრაკეებისთვის ევროპის თასი გათამაშდება. პეტრიაშვილსა და სიდამონიძეს ამ ტურნირზე გასამგზავრებლად თბილისის ჭადრაკის ფედერაცია დააფინანსებს.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# ამერიკაში ქულების კურსი დაცემულა

ლას ვეგასში (აშშ) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა. შარშან მსგავს ტურნირში **თამაზ გელაშვილმა** 4,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენებურმა წლევანდელ ტურნირშიც ამდენივე ქულა მოაგროვა, მაგრამ ეს მხოლოდ მე-6 ადგილისთვის ეყო. სამაგიეროდ, **მიხეილ კეკელიძემ** 5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილა, უკეთესი კოეფიციენტით კი მე-3 ადგილი ხვდა. მეორეზე უზბეკი **ტიმურ გარეევი** გავიდა. 5,5 ქულით მთავარი პრიზი მასპინძელმა **ალექსანდრ ლენდერმანმა** მოიხვეჭა - 6.400 დოლარი დაიმსახურა. გარეევს, კეკელიძეს და **ენრიკო სევილიანოს** (აშშ) 1867-1867 დოლარი გადაეცათ, გელაშვილი 340 დოლარს დასჯერდა.

**ვაჟა დანელია**

# ოროსნები დაზავდნენ

ჯერმუკში კარენ ასრიანის მე-5 მემორიალში გუშინ III ტურის პარტიები გაიმართა. ორქულიანი ლიდერები: **დავით ლომსაძე** - დავით პეტროსიანი და სურენ პოღოსიანი - დავით შაჰინიანი ყაიმზე შეთანხმდნენ. მათი დაზავებით ისარგებლეს იმ მოჭადრაკეებმა, რომლებსაც 1,5 ქულა ჰქონდათ. შვიდმა მათგანმა მეტოქეები დაამარცხა და ქულებით მეწინავეებს გაუთანაბრდა. მათ შორისაა თბილისელი დიდოსტატი **დავით არუთინიანი** - მესამე ტურში სარგის მანუკიანს სძლია. სამწუხაროდ, შანსი ვერ გამოიყენა **დავით მაღალაშვილმა,** რომელიც თეთრი ფიგურებით დავით კალაშიანს დანებდა. ასევე, დამარცხდა გაიოზ ნიგალიძე - ნორაირ ტოროსიანთან, არადა, მეტოქე ჩვენებურს რეიტინგში 328 პუნქტით ჩამორჩება. წარმატებით ითამაშეს **კონსტანტინე შანავამ** და **სოფიკო გურამიშვილმა,** რომელმაც, შესაბამისად, სედრაქ მათევოსიანსა და დავიდ ხაჩიკიანს გააჩერებინეს საათი.

სამი ტურის შემდეგ 11 მოჭადრაკეს 2,5-2,5 ქულ აქვს. როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის არიან არუთინიანი და ლომსაძე (ისინი დღეს მე-4 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან). დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია: შანავა - 2, მაღალაშვილი, გურამიშვილი - 1,5-1,5, ნიგალიძე - 0,5 ქულა.

**ვაჟა დანელია**

ცურვა

# ვერცხლი ულიცენზიოდ

სტამბოლში დამთავრდა მოცურავეთა საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირი, რომელშიც 15 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. **ირაკლი რევიშვილმა** 200 მეტრი თავისუფალი ყაიდით 1.51,84-ში დაფარა და ფინალში მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად 0,25 წამი დააკლდა. ასე რომ, ბრიტანეთის დედაქალაქში ქართველ მოცურავეთაგან მხოლოდ 17 წლის **ირაკლი ბოლქვაძე** გაემგზავრება - 200 მეტრზე ბრასით მოსინჯავს ძალებს. მანამდე კი 2-7 ივლისს ანტვერპენში (ბელგია) **დავით სიხარულიძესთან** და **თეიმურაზ კობახიძესთან** ერთად ევროპის პირველობაზე გამოვა.

**ვაჟა დანელია**

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.
ხუან ანტონიო სამარანჩი

## ზაფხულის XX ოლიმპიური თამაშები, 1972 წ. მიუნხენი, 26 აგვისტო - 11 სექტემბერი

Munich1972



ვიქტორ სანეევი (მძლეოსნობა) - I



ლევან თედიაშვილი (თავ. ჭიდაობა) - I



შოთა ჩოჩიშვილი (ძიუდო) - I



ზურაბ საკანდელიძე (კალათბურთი) - I



მიხეილ ქორქია (კალათბურთი) - I



ვიქტორ კრატასიუკი (ნიჩბ. ბაიდარა) - I



დიტო შანიძე (ძალოსნობა) - II



ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი) - III

**საქართველოდან მიუნხენში საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში გამოდიოდა 16 სპორტსმენი, რომელთა წილად მოდის 6 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი. სულ - 11 ოლიმპიური ჯილდო**



გივი ონაშვილი (ძიუდო) - III



მურთაზ ხურცილავა (ფეხბურთი) - III



რევაზ ძოძუაშვილი (ფეხბურთი) - III



ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა) - IV



თინათინ ლეკვეიშვილი (ცურვა) - IV



ჯემალ მეგრელიშვილი (ბ\რ ჭიდაობა) - V



გურამ გოგოლაური (ძიუდო) - V



გიორგი ნასყიდაშვილი (ნიჩბ. სლალ.) - XXXI

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრების მეტოქე. ლატვია

# ბაგაცკისი ფაჩულიას უფრთხის

**ვიდრე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი გუნდში გამოძახებულთა სიას გაგვანდობდეს, ჩვენი მეტოქეების შემადგენლობას გავეცნოთ. ბოსნიელების შემდეგ კანდიდატები ლატვიელებმაც დაასახელეს. ბალტიისპირელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან. ლატვიას თბილისში 24 აგვისტოს ვუმასპინძლებთ, ხოლო 8 სექტემბერს რიგაში ვეწვევით. თბილისური მატჩი ჩვენი დროით 19 საათზე დაიწყება, ხოლო ლატვიური - ბალტიის დროით 20:30-ზე.**

შინდისფრებს (ამ ფერის ფორმით ასპარეზობენ ლატვიელები) წვრთნის ახალგაზრდა **აინარს ბაგაცკისი**, რომელმაც 19 კანდიდატის სია ჩამოწერა. მათგან ივლისის დასაწყისში 16-18-ს აარჩევს. აი, რას ამბობს იგი გუნდის შემადგენლობაზე:

*- ევრობასკეტი 2011-ზე მოთამაშე ყველა კალათბურთელს წარმატებული სეზონი ჰქონდა. მათგან კარიერის პიკისთვის არავის მიუღწევია. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდის ბირთვი მზადაა ახალი მიზნისთვის საბრძოლველად - ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ბარიერის დასძლევად.*

მწვრთნელი იქვე დასძენს, რომ გუნდის გაძლიერების მიზნით ურიგო არ იქნება ერთი-ორი გამოცდილი კალათბურთელის დამატება. ესპანეთში მოთამაშე **კრისტაპს ვალტერსს** სამწლიანი დისკვალიფიკაცია 2009 წელს მისცეს. ამიტომ, ის ამ ზაფხულს ლატვიელებს ვერ დაეხმარება. ვალტერსთან ერთად ერთი და ორწლიანი დისკვალიფიკაციებით დასჯილი კალათბურთელებიდან (ევრობასკეტი 2009-ზე რეჟიმი დაარღვიეს) ზოგი ნაკრებში დაბრუნების სურვილს გამოთქვამს, ზოგი - არა. მაგალითად, ამერიკული „გოლდენ სტეიტის" მეფარე **ანდრის ბიედრინსი** ზაფხულის NBA-სთვის მოსამზადებლად გამოყენებას აპირებს და ნაკრებში არ ითამაშებს.

*- ბიედრინსის გარდა უარი გვითხრა კრისტოფ იანიჩენოკსმა. ასევე არ გვეყოლება კევინ სმიტი. სამაგიეროდ ნაკრებში დაბრუნების სურვილი გამოთქვა არმანდს შკელემ. იგი ნამდვილად გაგვაძლიერებს,* - ამბობს ბაგაცკისი, - *იანის ბლუმსი შარშან გუნდის ლიდერი იყო, თუმცა მისი თამაში ასი პროცენტით გადაწყვეტილი არ არის. ეს დამოკიდებულია საკლუბო საკითხსა და მის ჯანმრთელობაზე. დაირის ბერტანსს სერიოზული ტრავმა ჰქონდა. ამიტომ, იგი ნაკრებს შეკრების პირველივე დღიდან ვერ შეუერთდება...*

აინარს ბაგაცკისი სხვა მეტოქეების პარალელურად საქართველოზეც მოკლედ მსჯელობს:

*- ფინალური ეტაპის საგზურის ვერმოპოვება დაუშვებელია. თუმცა, მიზნის მიღწევა რთული იქნება. ბოსნიას ევროლიგაზე გამოცდილი არაერთი კალათბურთელი ჰყავს. საქართველოსა და ჰოლანდიის ნაკრებებში NBA-ს ცენტრები თამაშობენ. ასეთი დონის გუნდების დასაძლევად აუცილებელია სერიოზული მომზადება.*


ბაგაცკისი სოხუმის საქესთან

**ლატვიის ნაკრები (გაფართოებული შემადგენლობა)**

| მოთამაშე | დაბ.თარ. | სმ. | გუნდი (2012) | თამ. | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| იანის ბლუმსი | 20.04.1982 | 190 | ბილბაო (ესპანეთი) | 89 | 660 |
| იანის შტრელნიეკსი | 01.09.1989 | 190 | პეტერბურგი (რუსეთი) | 26 | 233 |
| ედგარს ჟერომნავსი | 18.04.1986 | 188 | დოლფინსი (შვედეთი) | 29 | 101 |
| კასპარს ვესვაგარსი | 03.08.1993 | 193 | ბალტაი (ლიტვა) | - | - |
| ზანის პიენერსი | 02.08.1990 | 204 | ლატვიის უნივ. | - | - |
| დაირის ბერტანსი | 09.09.1989 | 193 | ვეფ რიგა | 26 | 140 |
| არმანდს შკელე | 04.09.1983 | 193 | კალევი (ესტონეთი) | 84 | 714 |
| მარეკს იურევიჩუსი | 17.01.1985 | 198 | ოსტუნი (იტალია-2) | 37 | 150 |
| მარტინს ლაკსა | 26.06.1990 | 196 | ვენტსპილსი | - | - |
| რიჩარდს კუკსიკსი | 17.07.1988 | 202 | ვალენსია (ესპანეთი) | 26 | 298 |
| ოტო ოსენიეკსი | 19.03.1990 | 203 | მინესოტა (NCAA) | | |
| დავის ბერტანსი | 12.11.1992 | 207 | პარტიზანი (სერბეთი) | 10 | 40 |
| მარეკს მეიერსი | 02.09.1991 | 207 | ენიაკი (ესპანეთი, ლეგ-ოქრო) | 8 | 9 |
| არტურს ბერზინსი | 12.06.1988 | 204 | ვენტსპილსი | 12 | 41 |
| როლანდს ფრეიმანისი | 21.01.1988 | 208 | ხირონა (ესპანეთი, ლეგ-ოქრო) | 34 | 211 |
| კასპარს ბერზინსი | 25.08.1985 | 213 | ვეფ რიგა | 54 | 425 |
| ანდრეის შელაკოვსი | 08.11.1988 | 208 | ტარაგონა (ესპანეთი, ლეგ-ოქრო) | 20 | 100 |
| მარტინს მეიერსი | 20.01.1991 | 208 | ვენტსპილსი | 11 | 75 |
| პაველს პასტუშენა | 16.08.1990 | 220 | ლიეპაია | - | - |

ისტორია


1998 წელი, მამუკა აბრამიძე და აინარს ბაგაცკისი (12)

ლატვიის ნაკრები ევროპის პირველი ჩემპიონია - 1935 წელს ოქრო მოიგო, რასაც 1939 წელს ვერცხლი მიამატა და მას მერე დიდი ხნით მოუწია უქმობამ. მიზეზი გასაგებია - ლატვია სსრ კავშირმა შეიერთა.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ მდიდარი ტრადიციების ბალტიისპირელებმა გამონახეს რესურსი, ძლიერი ნაკრები შეკრიბეს და 1993 წლიდან დღემდე ევრობასკეტი მხოლოდ ორჯერ გამოტოვეს (1995 და 1999 წლებში). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რვა ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი 2001 წელს უჩვენეს - მერვე ადგილზე გავიდნენ. მას მერე დალმასვლა დაეწყოთ და პირველი ჯგუფური ბარიერის გადალახვა ერთხელაც ვერ მოახერხეს. სიტუაციის გამოსწორება მწვრთნელ **აინარს ბაგაცკისს** დაევალა, რომელიც გუნდს აახალგაზრდავებს. თუმცა უარს არც ერთ-ორ გამოცდილ კალათბურთელზე ამბობს, რომლებთან ერთადაც ახალგაზრდები პროფესიულად უნდა გაზარდონ.

სწორედ ასეთმა ნაკრებმა დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე. მიუხედავად კლასში სხვაობისა, ლატვიელებმა სერბეთს, საფრანგეთს, იტალიასა და გერმანიას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს.

# 3:2, წინ ლატვიაა

ლატვიის ნაკრების თავკაცი, აინარს ბაგაცკისი 2011 წელს „სოხუმს" წვრთნიდა. მასთან არაერთხელ ვილაპარაკეთ სანაკრებო თემაზე. სინანულით იხსენებდა ევრო-1999-ის შესარჩევ ტურნირს:

*- მაშინ, საქართველოს გარდა ჩვენს ჯგუფში იტალია და თურქეთი იყვნენ, ძლიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ვერ მოვიპოვეთ. მახსოვს, საქართველოს ერთი ლეგიონერი ჰყავდა ვლადიმერ სტეფანია. ისიც არ დამავიწყდება, რომ იმხანად საუკეთესო ფორმაში ვიყავი და ორივე მატჩი დამაჯერებლად ჩავატარე (ქულები ოქმში იხილეთ - ავტ).*

მას მერე საქართველოს ნაკრები ლატვიას ამხანაგურად სამჯერ გაეჯიბრა, ორჯერ გაიმარჯვა, ერთხელ დამარცხდა. ბაგაცკისი 2009 წელს რიგაში გამართულ შეხვედრას თვალს ტრიბუნებიდან ადევნებდა:

*- წინა დღით საფრანგეთს მოვუგეთ, თუმცა ჩვენი ნაკრების მწვრთნელებს ვუთხარი, საქართველო არანაკლებ სახიფათოა-მეთქი. მართლაც, ზაზა ფაჩულიას წინამძღოლობით ქართველებმა ლატვიას სძლიეს. გამოჩნდა, რომ მრავალმხრივი გუნდი გყავდათ.*

2010 წელს ლატვიის ნაკრები ბაგაცკისს ჩააბარეს. შარშან ბალტიელებს ორჯერ ამხანაგურად გავეჯიბრეთ. პირველ მატჩში **ზაზა ფაჩულიამ** სანაკრებო რეკორდი დაამყარა - 42 ქულა ჩააგდო და 83:79 გავიმარჯვეთ, ხოლო მომდევნო შეხვედრაში ლატვიელებმა სამქულიანებით დიდი თავსატეხი გაგვიჩინეს და 84:73 მოიგეს.

## საქართველო-ლატვია

**ამხანაგური მატჩები**

24.08.2011. ვენტსპილსი, ლატვია

**ლატვია-საქართველო 84:73**

**16:24, 26:15, 26:17, 16:17**

**ლატვია:** ბერტანსი (8ქ), ფრეიმანისი, იურევიჩუსი (10ქ), კუკსიკსი (12ქ), ჟერომანოვსი (10ქ), შტრელნიეკსი (13ქ), ბერზინსი (9ქ, 6მ), შელაკოვსი (6ქ, 6მ), მარეკს მეიერსი (6ქ), მარტინს მეიერსი (10ქ, 5მ).

**საქართველო:** გამყრელიძე (16წთ), ვ. ბოისა (14წთ, 5ქ), ა. ბოისა (10წთ, 6მ), ფაჩულია (20წთ, 18ქ, 6მ), ცინცაძე (20წთ, 4ქ, 3პ), შერმადინი (18წთ, 3ქ, 4მ), მარკოიშვილი (15წთ, 7ქ, 3პ), სანიკიძე (23წთ, 9ქ, 6მ), ცქიტიშვილი (16წთ, 8ქ), შენგელია (17წთ, 8ქ, 5მ), ჰეინსი (22წთ, 8ქ), შარაბიძე (2წთ, 1ქ), ფარღალავა (7წთ, 2ქ).

22.08.2011. რიგა, ლატვია

**ლატვია-საქართველო 79:83**

**20:13, 24:21, 19:25, 16:24**

**ლატვია:** დაი. ბერტანსი (9ქ), ფრეიმანისი, ბლუმსი (25ქ), კუკსიკსი (12ქ), ჟერომნავსი (3ქ), ვაიროგსი (2ქ), შტრელნიეკსი (16ქ), ბერზინსი (2ქ), შელაკოვსი (5ქ), ბლაუსი (1ქ), დავ. ბერტანსი, მეიერსი (4ქ).

**საქართველო:** გამყრელიძე (8წთ), ვ. ბოისა (23წთ, 3ქ), ფაჩულია (29წთ, 6მ, 3პ, 42ქ), ცინცაძე (27წთ, 3პ, 2ქ), შერმადინი (10წთ, 5მ), მარკოიშვილი (27წთ, 5მ, 13ქ), სანიკიძე (28წთ, 8ქ), ცქიტიშვილი (17წთ, 9ქ), შენგელია (12წთ, 4ქ), ჰეინსი (18წთ, 2ქ).

27.08.2009. რიგა, ლატვია

**ლატვია-საქართველო 72:80**

**19:22, 15:22, 17:20, 21:16**

**საქართველო:** ცინცაძე (22წთ, 5ქ, 3პ), ელისი (30 წთ, 10ქ, 3პ), სანიკიძე (28წთ, 5ქ. 7მ), ცქიტიშვილი (24წთ, 9ქ, 7მ), ფაჩულია (25წთ, 14ქ, 8მ), ვ. ბოისა (23წთ, 18ქ), შერმადინი (7წთ, 3მ, 2დ), გამყრელიძე (25წთ, 14ქ, 3პ), ა. ბოისა (13წთ, 5ქ), ტულუში (2წთ).

**ევრო-1999-ის შესარჩევი**

25.02.1998. ვენტსპილსი

**ლატვია-საქართველო 99:63**

**58:35, 41:28**

**ლატვია:** ჰელმანისი (10ქ, 5მ), აზაცისი (1ქ), შტელმაჰერსი (13ქ, 9პ), ბუსკევიჩისი (3ქ, 6მ), ვალტერსი (8ქ), ვალეიკო (8ქ), ბაგაცკისი (24ქ, 5მ), სკრიმანტსი (2ქ), ბერნატსი (14ქ, 6მ), ვეჩვაგარსი (11ქ, 5მ).

**საქართველო:** მაისურაძე (26წთ, 10ქ, 2პ), სტეფანია (18წთ, 13ქ, 3მ), ხოშტარია (26წთ, 0ქ, 2პ), ბეჟანიშვილი (28წთ, 4ქ, 4მ, 5პ, 1ჩ), გოგობერიშვილი (19წთ, 2ქ, 3მ, 1ჩ), ვაშაკიძე (21წთ, 2ქ, 6მ, 2პ, 1ჩ), შენგელია (29წთ, 18ქ, 8მ, 1პ, 2ჩ), ჯაფარიძე (17წთ, 9ქ, 1მ), ბოისა (16წთ, 5ქ, 5მ, 1ჩ)

24.02.1999. თბილისი

**საქართველო-ლატვია 96:98**

**38:50, 58:48**

**საქართველო:** მაისურაძე (10წთ, 2ქ, 2მ), ბოისა (28წთ, 17ქ, 6მ, 1პ, 1ჩ), ხოშტარია (14წთ, 4ქ, 1მ), აბრამიძე (30წთ, 12ქ, 3მ, 2პ, 1ჩ), ბერძენიშვილი (18წთ, 18ქ, 7მ), ჯაფარიძე (28წთ, 12ქ, 4მ, 1ჩ), ოთიურიძე (11წთ, 7ქ, 2მ, 1პ), ქარაბაკი (27წთ, 6ქ, 7მ, 1პ), ჩხეიძე (34წთ, 18ქ, 4მ)

**ლატვია:** ჰელმანისი (15ქ, 5მ), ვიტოლსი (5ქ, 5მ), შტელმაჰერსი (13ქ), ლაკსა (13ქ, 6მ), მიგლინიეკსი (7ქ, 3პ), ბაგაცკისი (27ქ), ბერნატსი (4ქ), ვესვაგარსი (14ქ, 3ჩ).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**


2011 წელი, ბლუმსი და ქართველები

რაგბი

● ივნისის ტესტები

# უკეთესის იმედით – დენვერიდან ბარნაბიში!

**საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ივნისის ტესტებზე საასპარეზოდ ჩრდილოეთ ამერიკაში იმყოფება, ამერიკის შეერთებული შტატები დატოვა და კანადაში, ვანკუვერთან ახლოს, ქალაქ ბარნაბიში დაბანაკდა.**

ჩვენი მორაგბეები მომავალ უქმეებზე აქ „ნეკერჩხლის ფოთლებს“ დაუპირისპირდებიან. აქამდე „ბორჯღალოსნებს“ მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან ორჯერ უთამაშია. 2009 წელს ჩერჩილის თასის გათამაშებაში დენვერში კანადელებმა 42:10 მოგვიგეს. მომდევნო წელიწადს კი თბილისში საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა - 22:15.

ბარნაბიში, სავარაუდოდ, ჩვენი ნაკრების შემადგენლობა რადიკალურად შეიცვლება. საფრანგეთიდან გუნდს შეუერთდა მესამეხაზელი **შალვა სუთიაშვილი** (მასი). ამავე ქვეყნის ჩემპიონატის პლეი ოფების მატჩებისთვის ინტენსიურად ემზადებოდა და სავარაუდოდ, მშვენიერ ფორმაში უნდა იყოს შერკინების ბურჯი **ლევან ჩილაჩავა** (ტულონი). 20-წლამდელთა ნაკრებში დაბრუნდა შუამარბი **მერაბ შარიქაძე**, მის ნაცვლად ჩვეულ პოზიციაზე, ალბათ, ისევ **თედო ზიბზიბაძე** გამოჩნდება. მოსალოდნელია სხვა ცვლილებებიც, რასაც ნაკრების მწვრთნელთა შტაბი მოგვიანებით გააცხადებს.

გასულ უქმეებზე აშშ-ის ნაკრებთან მარცხის გამო კი ჩვენი ეროვნული ნაკრები მსოფლიოს კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით დაქვეითდა და ამჟამად 68,52 ქულით ისევ მე-15 ადგილზეა. „ბორჯღალოსნებს“ 69,21 ქულით ფიჯის ნაკრებმა გაუსწრო.



ბურთით ირაკლი აბუსერიძე

**IRB-ის რეიტინგი**

1. ახალი ზელანდია - 91,43. 2. ავსტრალია - 86,77. 3. სამხრეთ აფრიკა - 85,47. 4. უელსი - 82,54. 5. ინგლისი - 82,49. 6. არგენტინა - 81,22. 7. საფრანგეთი - 81,06. 8. ირლანდია - 79,85. 9. სამოა - 77,64. 10. შოტლანდია - 76,56. 11. ტონგა - 76,19. 12. იტალია - 75,26. 13. კანადა - 71,74. 14. ფიჯი - 69,21. 15. საქართველო - 68,52. 16. იაპონია - 67,93, 17. აშშ - 67,38. 18. რუმინეთი - 64,54. 19. რუსეთი - 62,05. 20. ესპანეთი - 61,63. 21. ნამიბია - 61,24. 22. ურუგვაი - 61,13. 23. ბელგია - 59,17. 24. ჩილე - 58,32. 25. კორეა - 56,72. 26. პორტუგალია - 56,58.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: ვახტანგ მაისურაძე (ალბი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), დავით ჩიტიძე (არმია).

მესამე ხაზი: ბექა ბიწაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია), გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე (ორივე-ლოკომოტივი), გია ლაბაძე (ლა სეინი)

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV), ბიძინა სამხარაძე (არმია)

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).

№12-13: დავით კაჭარავა (ნიცა), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ლექსო გუგავა (ლელო), ალექსანდრე თოდუა (ალბი).

№15. ირაკლი ყიასასვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი).

● ლეგიონერები



ქართული ბიბლიოთეკა

ბურთით შალვა სუთიაშვილი

# ზოგი მიდის, ზოგიც მოდის

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი საბოლოოდ გასულ კვირას დასრულდა. ფედერალ 1 დივიზიონის გათამაშების ფინალში შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა და არჩილ კობაურის „მასი“ „კოლომიეს“ დაუპირისპირდა და 16:20 დამარცხდა.**

მართალია, ფედერალ 1 დივიზიონის გამარჯვებულად „კოლომიე“ გამოცხადდა, მაგრამ რანგით უფრო მაღალი, ელიტური, მეორე დივიზიონის საგზური ორივე გუნდს ერგო. სუთიაშვილმა ამ მატჩში სრულად ითამაშა, აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, კობაურს არ უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ „მასის“ მწვრთნელი საქართველოს ნაკრების ყოფილი მეორეხაზელი **ვიქტორ დიდებულიძეა**. ცხადია, რომ მეორე დივიზიონში საასპარეზოდ პარიზელებს გაძლიერება დასჭირდებათ, ამიტომ გამორიცხული არ არის, „მასიში“ სხვა ქართველი მორაგბეებიც გამოჩნდნენ.

მანამდე კი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფედერალ 1 დივიზიონის „სენ ჟუნიენი“ დატოვა „ბორჯღალოსნების“ მესამეხაზელმა **გიორგი ჩხაიძემ**. მისი ახალი გუნდის ვინაობა ახლახან გახდა ცნობილი. „ბინგო“ კარიერას ელიტური, მეორე დივიზიონის „ტარბში“ განაგრძობს.

აღსანიშნავია, რომ ჩხაიძე მესამე ქართველია, ვინც მიმდინარე სატრანსფერო ციებ-ცხელებისას „ტარბთან“ გააფორმა ხელშეკრულება. მანამდე ამ კლუბთან კონტრაქტს ხელი მოაწერეს საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა **გიორგი ნემსაძემ** (ვალანს დაჟენი) და „პერიგოს“ შერკინების ბურჯმა **დავით დადუნაშვილმა**.

ამავე გუნდში განვლილი სეზონი კიდევ ორმა ქართველმა გაატარა, - პირველხაზელებმა: **ირაკლი მირცხულავამ** და **მამუკა მაგრაქველიძემ**.

საფრანგეთის ესპუართა გათამაშების ჩემპიონის „კლერმონის“ რიგები დატოვა ორივე ქართველმა. საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი** ძირითად გუნდში გადაბარგდა. შერკინების ბურჯი **გიორგი ჯაშიტაშვილმა** კი კონტრაქტი ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „მონლუსონთან“ გააფორმა. ამ გუნდში მის გარდა კიდევ ორი ქართველი: **ელიზბარ ყუფარაძე** და **დევი დათუნაშვილი** ირიცხება.

საფრანგეთში ლეგიონერების გადინების პარალელურად უკუპროცესი დაიწყო. ვწერდით, რომ ფედერალ 1 დივიზიონის „სენტ ეტიენი“ დატოვა და თბილისის „არმაზში“ ჩაირიცხა საქართველოს ნაკრების გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი**. ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მომავალ ჩემპიონატში თბილისის „ლელოს“ ღირსებას დაიცავს ამავე გუნდის აღზრდილი, საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი **რეზო ბელქანია**, რომელიც აქამდე ფედერალ 1 დივიზიონის „ლა სეინში“ თამაშობდა.

● მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფი

# ამერიკაში კანადით ვიწყებთ

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სოლტ ლეიკ სიტიში „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ გათამაშებაში ჩაებმება, რომელიც იმავდროულად გაისად საფრანგეთში გასამართავი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიცაა.**

ჩვენი გუნდის მეტოქეები B ჯგუფში, ისევე როგორც შარშან, თბილისში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე, კანადის, ზიმბაბვესა და იაპონიის ნაკრებები იქნებიან. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული სხვა, A ჯგუფში გამარჯვებულს ფინალში დაუპირისპირდება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიელი **იან სმიტის** ხელმძღვანელობით, ამ ტურნირისთვის დიდი ხანია ემზადება. მას ასისტენტობას ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელები **ვლადიმერ კილასონია** და **ირაკლი ჭყონია** უწევენ.

გუნდში ოთხი ისეთი მოთამაშე მოხვდა, რომლებმაც შარშან თბილისში გამართულ ტურნირში იასპარეზეს. ესენი არიან: **გოდერძი ჭინჭარაული** (ლელო), **ზურაბ ძნელაძე** (აია), **ბახვა კობახიძე** და **ლევან გოგოლაშვილი** (ორივე-არმია).

ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე კანადის ნაკრებია, რომელსაც შარშან თბილისში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ 38:9 მოუგეს. თამაში თბილისის დროით ამაღამ, ორ საათზე დაიწყება. ნაკრების შოტლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა **იან სმიტმა** კანადელებთან სათამაშოდ ასეთი რაზმი დაასახელა:

**15. საბა ნიკოლავა, 14. გიორგი ბიწაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. თამაზ მჭედლიძე, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ხუციშვილი. 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. გიორგი ლომთაძე, 3. ვახტანგ ახობაძე, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე. 16. არჩილ ბეჟიაშვილი, 17. ვაჟა თაგაური, 18. ზაზა ნავროზაშვილი, 19. გურამ შენგელია, 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. გიგა გაგოშვილი.**

სულ კი იან სმიტის განკარგულებაში 26 მორაგბეა, რომლებსაც ამერიკის კონტინენტზე ურთულესი ბრძოლების გადატანა მოუწევთ. ჩვენი გუნდის მთავარი კონკურენტები იაპონიისა და ტონგას ნაკრებები იქნებიან.

კანადის 20-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ შელიმ** ყურადღება ისევ ჩვენი გუნდის მძლავრ შერკინებაზე გაამახვილა და შარშანდელი ტურნირიც გაიხსენა:

*„ქართველებთან უმძიმესი მატჩი გველის. ჩვენ მათ შარშანდელ ტურნირზეც ვეთამაშეთ და წინააღმდეგობის გაწევა 50-60 წუთის განმავლობაში შევძელით, მაგრამ ისინი მაშინაც ძალიან დიდები და ფიზიკურად ძლიერები იყვნენ.*

*ამჯერად გარკვეული სამუშაო გავწიეთ, რის შემდეგაც იმედი გვაქვს, რომ მათ მრისხანე შერკინებას შევაჩერებთ და თანაც, ჩვენ საკმაოდ ფეხმარდი უკანახაზელები გვყავს, რომლებიც მეტოქეს ბევრ პრობლემებს შეუქმნიან“*

**საქართველოს ნაკრები. U-20**

პირველი ხაზი: ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი (ორივე-ალბი), არჩილ ბეჟიაშვილი (ყოჩები), ზაზა ნავროზაშვილი (არმია), ვაჟა თაგაური (არმაზი), გიორგი ლომთაძე (აია).

მეორე ხაზი: მინდია ელგუჯაური (ბრივი), სანდრო ქოიავა (ლელო), ლაშა ლომიძე (მონპელიე), გიორგი მჭედლიშვილი (ჯიქები).

მესამე ხაზი: საბა ბერაძე (ხულიგანა), გურამ შენგელია (ჯიქები), ელგუჯა სურგულაძე (ლელო), ბექა მამრიკიშვილი (ჯიქები).

№9: ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი მისრიაშვილი (არმაზი).

№10: გიორგი ბასილაია (ხარები), გოდერძი ჭინჭარაული (ლელო).

№12-13: გიგა გაგოშვილი, თამაზ მჭედლიძე (ორივე-არმია), მერაბ შარიქაძე (ჰართპური).

№11-14: ლევან გოგოლაშვილი (არმია), ზურაბ ძნელაძე (აია), გიორგი ბიწაძე (ლოკომოტივი).

№15: ბახვა კობახიძე, საბა ნიკოლავა (ორივე-არმია).

A ჯგუფი: ჩილე, რუსეთი, ტონგა, აშშ.

B ჯგუფი: საქართველო, იაპონია, კანადა, ზიმბაბვე.

**18 ივნისი**

საქართველო-კანადა

**22 ივნისი**

საქართველო-ზიმბაბვე

**26 ივნისი**

საქართველო-იაპონია



მონაწილე გუნდების კაპიტნები: მარცხნივ ელგუჯა სურგულაძე

● IRB-ის ერთა თასი

# ტურაშვილმა რუმინეთს თასი მოაგებინა

**რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის გათამაშება დასრულდა, რომელშიც პირველად ამ ტურნირის ისტორიაში, მასპინძელთა ნაკრებმა გაიმარჯვა.**

რუმინეთის ეროვნულმა გუნდმა, რომელიც მომავალი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში „ბორჯღალოსნების“ ერთ-ერთი ძირითადი კონკურენტია, სამივე შეხვედრა მოიგო და პირველობა არავის დაუთმო.

„მუხის ფოთლებმა“ ბოლო შეხვედრაში უშუალო კონკურენტი იტალიის A ნაკრები დაამარცხა 17:13. აღსანიშნავია, რომ სამივე შეხევდრაში, რუმინელთა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ქართველმა შერკინების კვაჭმა **ოთარ ტურაშვილმა**.

საქართველო ნაკრების სხვა მეტოქეთაგან ძალიან ცუდად იასპარეზა პორტუგალიელთა ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც სამიდან სამივე მატჩი წააგო და ბოლო ადგილზე გავიდა. მესამე ტურში „ლობუშები“'დიდი ანგარიშით დამარცხდა ურუგვაის ნაკრებთან - 7:35.

სამი მატჩიდან მხოლოდ ერთში გაიმარჯვა რუსეთის ეროვნულმა გუნდმა და ბოლოსწინა ადგილს დასჯერდა. მესამე ტურში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა არგენტინის A ნაკრებთან 9:33 წააგეს. შეგახსენებთ, რომ რუსთა რიგებში ორი ეროვნებით ქართველი **ვალერი ცნობილაძე** და **პავლე კვერნაძე** თამაშობენ.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რუმინეთი - 12 ქულა, 2. არგენტინა A - 10, 3. იტალია A - 10, 4. ურუგვაი - 6, 5. რუსეთი - 4, 6. პორტუგალია - 1.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. ფინალი

# პიტი წინ გავიდა


ჯეიმსმა დურანტს აჯობა

მეოთხემეოთხედის პირველად მოგების შემდეგ „მაიამიმ“ ფინალურ სერიაში დაწინაურება მოახერხა. ფლორიდელებმა ბოლო ექვსი წლის განმავლობაში მესამედ მოიგეს ფინალის მესამე შეხვედრა.

ზედიზედ მესამე მატჩში „ოკლაჰომამ“ ჩააგდო დებიუტი. „მაიამიმ“ 8:0 გაქცევა მოაწყო, რის გამოც სტუმრების მწვრთნელს უკვე მეხუთე წუთზე ტაიმაუტის აღებამ და მოედანზე **ჰარდენის** გამოყვანამ მოუწია. ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო, რადგან **დურანტს** ძალიან ავიწროებდა **ლებრონ ჯეიმსი**, **უესტბრუკმა** კი სამი ტყორცნა ააცილა მიზანს. აქედან ორი სწრაფი გარღვევა იყო და „თანდერის“ გამთამაშებელს გვერდით თავისუფალი პარტნიორები ჰყავდა.

სტუმრებმა შეაჩერეს „მაიამის“ გაქცევა, თუმცა „ჰიტი“ ჯერ ისევ ფლობდა ინიციატივას - ძირითადად, ფარქვეშ ბრძოლაში უპირატესობის წყალობით. პირველ მეოთხედში მასპინძლებმა მეტოქის ფარზე ხუთჯერ მოხსნეს ბურთი.

ტრადიციისამებრ, წარუმატებელი დასაწყისის შემდეგ, „ოკლაჰომამ“ სწრაფად დაიწყო ჩამორჩენის გაბათილება. მეორე მეოთხედიდან მოყოლებული, ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა, თუმცა დიდი შესვენებისთვის, უპირატესობას მაინც ჯეიმსი და მისი თანაგუნდელები ფლობდნენ. ეფექტური იყო ორი წუთის განმავლობაში **უეიდის** სამი შეჭრა სამწამიანში, რაც შვიდ ქულაში გამოიხატა. რეალურად, ეს იყო ბოლო მონაკვეთი შეხვედრაში, როცა დუეინი შექებას იმსახურებდა. მეოთხედის ბოლოს კი პირველად და უკანასკნელად შეხვედრაში „გაილვიძა“ **ბატიემ**. ფინალური სერიის პირველ ორ მატჩში ფორვარდმა ცხრა სამქულიანი ჩააგდო, ახლა კი მხოლოდ ორი ზუსტი შორეული ტყორცნით შემოიფარგლა - ორივეჯერ მეორე მეოთხედის ბოლოს. ამის წყალობით, „მაიამი“ დიდ შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდა. აღსანიშნავია, რომ ფინალური სერიის პირველ სამ მატჩში 11 სამქულიანი ისტორიაში მხოლოდ ერთ კალათბურთელს ჰქონდა ჩაგდებული - 2009 წელს ორლანდოელ **რაშარდ ლუისს**.

მესამე მეოთხედში „თანდერმა“ კინაღამ გარდატეხა შეიტანა თამაშში. სტუმრებმა შვიდ-ნახევარი წუთის განმავლობაში თამაშიდან მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდებინეს მეტოქეს. 12:3 გაქცევა და ორნიშნა უპირატესობა **ფიშერის** სამქულიანის შემდეგ, მოვლენათა განვითარების სავსებით ლოგიკური გაგრძელება ჩანდა. მაგრამ სულ მალე „ოკლაჰომას“ დაცვის ორმა უხეშმა შეცდომამ დიდი გაჭირვებით მოპოვებული უპირატესობა დააკარგვინა **ბრუქსის** გუნდს. თავიდან **იბაკა** შეშინდა იმის გამო, რომ ბატიე მორიგ სამქულიანს ჩააგდებდა და სროლის მომენტში დაჯარიმდა. 22 წამის შემდეგ, იგივე შეცდომა დაუშვა გამოცდილმა ფიშერმა **ჯონსის** წინააღმდეგ. „ჰიტი“ იმ დღეს თითქმის უშეცდომოდ ისროდა საჯარიმოებს - 35-დან 31 და მისმა ფორვარდებმა იმ სულელური პერსონალურების შემდეგ სამ-სამი თავისუფალი ჩააგდეს. ჯეიმსის შორეული ტყორცნის შემდეგ კი მასპინძლები მეოთხე მეოთხედს მცირე უპირატესობით შეხვდნენ - 69:67.

მიუხედავად ამისა, მატჩის ბოლო ნაწილს „ოკლაჰომას“ ფანები იმედით ელოდნენ, რადგან მათმა საყვარელმა გუნდმა ყველაზე კარგად იცის შეხვედრის ბოლო წუთების ჩატარება. თანაც ამ გუნდის რიგებში თამაშობს დურანტი, რომელმაც წინა ორი მატჩის მეოთხე მეოთხედებში 33 ქულა დააგროვა. ასეთი რამ 1976 წლის შემდეგ არავის გაუკეთებია.

მაგრამ ამჯერად კევინმა მხოლოდ ოთხი ქულა დააგროვა. ორივე გუნდი დაცვაში კარგად თამაშობდა, თან მეტოქეებმა 15-ჯერ დაკარგეს ბურთი 12 წუთის განმავლობაში. მასპინძლების ანგარიშზე ცხრა ტექნიკური წუნი იყო. ერთმა შეცდომამ კინაღამ სერიოზული პრობლემები მოუტანა „მაიამის“. სირენამდე ორი წუთით ადრე უეიდს ბურთი მოჰპარა **სეფოლოშამ** და თავად დაასრულა ეპიზოდი ჩატენით. გარკვეული დროის შემდეგ, უესტბრუკის საშუალო ტყორცნამ სტუმრების დეფიციტი მინიმალურამდე შეამცირა. მაგრამ იქვე „თანდერმა“ ვერ მოიგერია შემდეგი იერიში და **ბოშმა** ორი საჯარიმო გამოიყენა, შემდეგ კი „ოკლაჰომამ“ მეტად უშინაარსო შეტევა ჩაატარა. დურანტმა საშინელი წინააღმდეგობის ფონზე ისროლა და ააცილა. ამასთან, ფორვარდს არ შეეძლო აგრესიულად ეთამაშა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ხუთი პერსონალური ჰქონდა დაგროვილი.

თამაშის გადარჩენის შანსი „თანდერს“ კიდევ ჰქონდა. მაგრამ თავიდან უესტბრუკმა ვერ გაათანაბრა შორეული ტყორცნით, ჯეიმსის საჯარიმოს შემდეგ კი „ოკლაჰომას“ გამთამაშებელმა და სეფოლოშამ ვერ გაუგეს ერთმანეთს ბურთის გვერდითი ხაზიდან შემოტანის დროს, რამაც მორიგი შეცდომა გამოიწვია.

ასე რომ, „ჰიტმა“ სერიის მესამე მატჩი მოიგო. ასეთი რამ 2006 და 2011 წელს მოხდა. პირველ შემთხვევაში ფლორიდელებმა მოიგეს ჩემპიონის ტიტული, შარშან დამარცხდნენ. საინტერესოა, რა მოხდება ამჯერად.

**მაიამი-ოკლაჰომა 91:85**

**26:20, 21:26, 22:21, 22:18**

მ: ჯეიმსი (29+14 მოხსნა+3 პასი), უეიდი (25+7 პასი+7 მოხსნა), ბოში (10+11 მოხსნა+2 დაფარება), ბატიე (9), ჯონსი (6), ჰასლემი (6), მილერი (4), ჩელმერსი (2+3 პასი).

ო: დურანტი (25+6 მოხსნა+2 დაფარება), უესტბრუკი (19+5 მოხსნა+4 პასი+2 დაფარება), პერკინსი (10+12 მოხსნა), ჰარდენი (9+6 პასი+6 მოხსნა), ფიშერი (9), სეფოლოშა (6+3 ჩაჭრა), იბაკა (5+5 მოხსნა+2 დაფარება), კოლისონი (2).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (37.8/42.9), სამქულიანები (30.8/22.2), საჯარიმოები (88.6/62.5).

**სერია:** 2-1

ამბები

**კალათბურთი**

## ბრუქსი სამ წელს არ თანხმდება

„ოკლაჰომა-სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა **სკოტ ბრუქსმა** უარყო კლუბის შეთავაზება კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე. ამ სპეციალისტს წლევანდელ ზაფხულს უმთავრდება „თანდერთან“ კონტრაქტი.

ხელმძღვანელობამ სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა ბრუქსს, რომლის მიხედვითაც ის 11 მილიონ დოლარს მიიღება, მწვრთნელი და მისი აგენტი კი ოთხწლიან კონტრაქტს ითხოვენ. ამიტომაც, მოლაპარაკებები ზაფხულისთვის გადაიდო.

ბრუქსი მეოთხე სეზონია ავარჯიშებს „ოკლაჰომას“ და ამ გუნდს 174 მატჩი მოაგებინა (125-ჯერ დამარცხდა).

## წააგო, მაგრამ დარჩა

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი **პაბლო ლასო** თავის დღევანდელ თანამდებობაზე მინიმუმ 2014 წლამდე დარჩება. ესპანეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის წაგების შემდეგ, ლასო მოელაპარაკა „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობას კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ სპეციალისტმა მადრიდული გუნდი 2011 წლის ზაფხულში ჩაიბარა.

**მძლეოსნობა**

## ფილიპსი ვერ გადახტება

ათენის ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი **დუაიტ ფილიპსი** ვერ შეძლებს ლონდონის თამაშებზე გამოსვლას. მან ცოტა ხნის წინ, აქილევსის მყესზე ოპერაცია გადაიტანა, რის გამოც გამოტოვებს აშშ-ის ჩემპიონატს (21 ივნისი-1 ივლისი), რომლის შედეგების მიხედვით უნდა შეირჩეს ამერიკელთა ოლიმპიური გუნდი.

აქილევსის მყესის დაზიანების გარდა, 34 წლის სპორტსმენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემებიც ჰქონდა. აპრილში ის ავტოავარიაში მოხვდა, რის შემდეგაც დიდი ხანი არ ვარჯიშობდა კისრისა და ზურგის დაზიანების გამო.

**დოლი**

## პაუსა და კობის ცხენი მეორეა

ცხენმა Siempre Mio-მ, რომლის თანამფლობელები არიან „ლეიკერსის“ ლიდერები - **პაუ გასოლი** და **კობი ბრაიანტი**, „ჰოლივუდ პარკის“ იპოდრომზე დოლში მიიღო მონაწილეობა.

ცხენმა, რომელიც კალიფორნიული კლუბის ემბლემით გამოდიოდა, თავიდანვე წინ გაიჭრა, მაგრამ თანდათან გაფლანგა უპირატესობა და ფინიშზე მეორე მივიდა.

## რუდიშა ესტაფეტასაც გაირბენს

თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი, 800 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი **დავიდ რუდიშა** ადასტურებს, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე თავისი საყვარელი დისტანციის გარდა, 4x400 მეტრზე ესტაფეტაშიც გამოვა.

ეს ინფორმაცია ასევე დაადასტურა კენიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა და ისიც დაამატა, რომ რუდიშას გადაწყვეტილება შესამჩნევად ზრდის კენიის ნაკრების შანსებს ესტაფეტაში.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**საბერძნეთი**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| კალითეა-პანაჰაიკი | 2:2 |
| კალონი-პლატანიასი | 0:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| ბერლოკი-კუკუშკინი | 3:6, 6:4, 6:2 |
| ჰარისონი-პოსპიშილი | 3:6, 7:6, 7:6 |
| ფონინი-რამოსი | 7:6, 6:7, 6:2 |
| ბაღდატისი-ანდუხარი | 6:1, 6:1 |
| მატიო-შარდი | 5:7, 7:6, 6:7 |
| ჟორდი-მატოშევიჩი | 6:4, 1:6, 4:6 |
| იანგი-ბეიკერი | 1:6, 4:6 |

**ATP. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ო. როხუსი-ყაზირი | 6:3, 4:0 |
| ფალა-რამირეს იდალგო | 6:4, 6:4 |
| გოფენი-პერი | 1:6, 4:6 |
| პავიჩი-ჰაასე | 6:4, 7:6 |
| ლ. მაიერი-ლედოვსკიხი | 6:4, 6:2 |
| პეტცშნერი-ტურსუნოვი | 6:4, 6:2 |
| ლორენცი-დოდიგი | 6:4, 6:4 |
| იტო-ფუშოვიცი | 3:6, 6:3, 7:6 |
| მელცერი-კუნიცინი | 6:1, 6:1 |

**WTA. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| ვოზნიაკი-ვოსკობოევა | 6:3, 4:6, 7:6 |
| [illegible] | 2:6, 3:6 |
| პაჩეკი-ერაკოვიჩი | 7:5, 6:1 |
| ბარტელი-სხეპერსი | 1:6, 6:4, 1:6 |

**WTA. ბირმინგემი**

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-ოუდინი | 4:6, 2:6 |

**WTA. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ბენეშოვა-ბეგუ | 4:6, 1:6 |
| კ. ბონდარენკო-ერანი | 5:7, 6:3, 6:4 |
| პეერი-ამანმურადოვა | 6:2, 6:4 |
| ბერტენსი-პეტროვა | 2:6, 4:6 |
| ნიკულესკუ-ბ. ზახვალოვა | 7:6, 6:3 |
| დანილიდუ-ვინჩი | 3:6, 5:7 |
| უ. რადვანსკა-პერვაკი | 4:6, 6:1, 6:4 |
| ციბულკოვა-კადანტუ | 6:2, 6:2 |
| სტოსური-ფლიპკენსი | 6:7, 3:6 |
| კირილენკო-სკიავონე | 4:6, 6:3, 5:7 |
| რუსი-პარმენტიე | 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**19 ივნისი. სამშაბათი**

**I არხი**

**22:45** ფეხბურთი. ევრო 2012. ჯგუფური ეტაპი. D ჯგუფი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-შალკე.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-ნოვარა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-პსჟ.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. სტოკი-ტოტენჰემი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
**23:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ევიანი.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ვერდერი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ატლეტიკო.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. არლეკინსი-გლოსტერი.
**19:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**21:00** NBA Action.
**21:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა. IV მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ოკლაჰომა.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**16:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-შოტლანდია.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ესპანეთის თასი.
**20:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011. კაცები. ლონდონი. ინგლისი.
**23:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-იტალია.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 29 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 17 | 28 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 26 | (მზე) |
| ფოთი | 18 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 28 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 15 | 28 | (მზე) |
| თელავი | 17 | 28 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 15 | 27 | (მზე) |
| ქობულეთი | 17 | 27 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 22 | (მზე) |
| ბორჯომი | 12 | 25 | (მზე) |
| მესტია | 10 | 23 | (მცირე წვიმა) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0593 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6301 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5519 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0732 |

ოლიმპიზმი

# ინდოეთმა მედალი დაკარგა?

ინდოეთის ჩოგბურთის ფედერაციამ თავისი გადაწყვეტილებით, შესაძლოა, ერთი ოლიმპიური მედალი დააკარგვინა ქვეყნის ოლიმპიურ გუნდს. საქმე ისაა, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობამ წყვილთა თანრიგის ორ ცნობილ ჩოგბურთელს - **მაეშ ბჰუპატისა** და **როჰან ბოპანას** ლონდონის ოლიმპიადაზე ერთად თამაში აუკრძალა. როგორც სააგენტო „როიტერი“ წერს, ფედერაცია ითხოვს ბჰუპატისგან, რომ მან ოლიმპიადის წყვილთა თანრიგში თავის ექსპარტნიორთან **ლიანდერ პაესთან** ერთად ითამაშოს.

შეგახსენებთ, რომ ბჰუპატისა და პაესის წყვილმა სამი ტიტული მოიგო „დიდი სლემის“ ტურნირებზე, მაგრამ წინა ოთხ ოლიმპიადაზე მათი გამოსვლა წარუმატებელი იყო. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ბჰუპატი და პაესი ისევ შეუწყვილდნენ ერთმანეთს 2011 წელს და სამი ტიტულიც მოიპოვეს, მაგრამ პაესმა უკმაყოფილება გამოთქვა მათი თამაშის დონით, ამიტომაც 2012 წლის სეზონიდან ის ჩეხ **რადეკ შტეპანეკის** პარტნიორი გახდა და ამ დუეტმა მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და მაიამის მასტერსი.

ბჰუპატიმ და ბოპანამ წელს ერთი ტურნირი მოიგეს - სეზონის დასაწყისში დუბაიში. ახლა პაესი მეშვიდე ადგილს იკავებს წყვილთა რეიტინგში, ბოპანა - მე-12 პოზიციაზეა; ორი საფეხურით ქვემოთაა ბჰუპატი.

*„იმედგაცრუებულები ვართ ფედერაციის გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც, ჩვენი წყვილი ვერ ითამაშებს ოლიმპიადაზე. დიდი ხნის განმავლობაში ვცდილობდით ჩვენი ხელმძღვანელობისთვის აგვეხსნა, რომ*


მაეშ ბჰუპატი

*ძალიან გვინდა ერთად თამაში და ერთ გუნდად განვიხილებით“*, - წერია ჩოგბურთელთა ერთობლივ განცხადებაში.

ამასთან, ლეანდერ პაესი, რომელსაც ამ მომენტისთვის ბჰუპატისთან ცუდი ურთიერთობა აქვს, მზად არის ოლიმპიადაზე ნებისმიერ პარტნიორთან ერთად ითამაშოს. ასევე შესაძლებელია ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ლონდონში ინდოეთს პაესისა და **სომდევ დევარმანის** წყვილი წარმოადგენს, მაგრამ ამისთვის საჭიროა, დევარმანმა ოლიმპიადის „უაილდ-ქარდი“ მიიღოს. ეს ვარიანტი მით უფრო სავარაუდოა, თუ გავითვალისწინებთ ბჰუპატის გუშინდელ განცხადებას. კერძოდ, ის ოფიციალურად ამბობს უარს პაესთან ერთად თამაშზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# აღიარებს, მაგრამ აკრიტიკებს

„ქუინზ კლაბის" სკანდალური ფინალის შემდეგ არგენტინელი **დავიდ ნალბანდიანის** დასჯა გადაწყვიტა ATP-ის ხელმძღვანელობამ. შეგახსენებთ, რომ ხორვატ **მარინ ჩილიჩთან** ფინალის დროს, ერთ-ერთი ეპიზოდის გამო განრისხებულმა არგენტინელმა წიხლი ჩასცხო სარეკლამო ბანერს და ფეხის ტრავმა მიაყენა ხაზის მსაჯს.

ნალბანდიანს მოუწევს 10 ათასი დოლარის გადახდა, გარდა ამისა, მას არ გადაეცემა ფინალში გასვლისთვის განკუთვნილი ჰონორარი, რომელიც 56 800 დოლარს უდრის. და კიდევ, დავიდს ჩამოერთმევა გასულ კვირას მოპოვებული სარეიტინგო ქულები.

*„ვიცი, რომ ეს ასპროცენტიანი შეცდომა იყო. ძალიან ვწუხვარ მსაჯის გამო. არ მინდოდა ამის გაკეთება. მაგრამ ხანდახან, როცა გაბრაზებული ხარ, გიჭირს საკუთარი ემოციების გაკონტროლება"*, - ამბობს ნალბანდიანი.



დაზარალებული მსაჯი

გარდა ამისა, არგენტინელი ჩოგბურთელი ATP-ის წინააღმდეგ კრიტიკით გამოვიდა.

*„შეცდომას ყველა უშვებს. როცა ვინმე ცდება, მან იგივე სანქცია უნდა მიიღოს, რომლითაც წინა ჩოგბურთელი დაისაჯა. მაგრამ მოთამაშეები ამას ვერ გრძნობენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ATP-ის შეეხება. წლის დასაწყისში ყოველმა ჩვენგანმა ხელი უნდა მოაწეროს დოკუმენტს და დაეთანხმოს ყველაფერს, რასაც ATP ლაპარაკობს. თუ შენ არ გინდა ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, მაშინ ვერ შეძლებ ამ ორგანიზაციის ეგიდით ტურნირებზე გამოსვლას.*

*ყველასთვის ცნობილია შემთხვევები, როცა ATP ზეწოლას ახდენს მოთამაშეებზე და აიძულებს ტრავმებით ითამაშონ ტურნირებზე. ამისთვის მათ პასუხს არავინ სთხოვს. ჩვენ ამაზე ბევრი უნდა ვიმუშაოთ. შეიძლება ამ სიტყვების გამო უსიამოვნება მივიღო, მაგრამ ეს არ მაინტერესებს. მე ჩემს აზრს გამოვხატავ და დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩოგბურთელი მეთანხმება"*, - განაცხადა ნალბანდიანმა პრესკონფერენციაზე.

გუშინ, ბრიტანულმა პოლიციამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. ამასთან, სკოტლენდ-იარდმა არ დააზუსტა, ვინ მიმართა ნალბანდიანის წინააღმდეგ პოლიციას. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო თავად დაზარალებული მსაჯი ან რომელიმე მაყურებელი, რომელიც ინციდენტის დროს ტრიბუნაზე იჯდა.

# დაბრუნდა და მოიგო

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, პროფესიულ ტურს დაუბრუნდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი**. 29 წლის ბელგიელმა, რომელსაც მარტის შემდეგ არ ჩაუტარებია ოფიციალური მატჩი, მთლიანად გამოტოვა გრუნტის სეზონი და მთელი ყურადღება ბალახის სეზონზე გადაიტანა. როგორც ცნობილია, მისი პრიორიტეტი ლონდონის ოლიმპიური თამაშებია, რომელიც უიმბლდონის კორტებზე ჩაივლის.

მსოფლიოს 50-ე ჩოგანი ჰოლანდიაში, ჰერტოგენბოშის ტურნირში ჩაება და პირველ წრეში 26 წლის შვეიცარიელ **რომინა ოპრანდის** შეხვდა. ბელგიელს გაუჭირდა მსოფლიოს 69-ე ჩოგანის დამარცხება. პირველი სეტი მან ტაი-ბრეიკზე წააგო - 6:7(5), სამაგიეროდ, მომდევნო ორ პარტიაში მეტოქეს მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო – 6:3, 6:2.

კლაისტერსმა სამჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, სამაგიეროდ, შვიდი ბრეიკი გააკეთა და მოგებისთვის საათი და 47 წუთი დახარჯა.

*„დღევანდელი მატჩი თანაბარი იყო. ოპრანდი - ძლიერი მეტოქეა. საბედნიეროდ, არ დავნებდი და კონცენტრაცია არ დავკარგე. მეორე და მესამე სეტებში უკეთ ვთამაშობდი. ახლა, ნებისმიერი მატჩისგან სიამოვნებას ვიღებ. ეს ზაფხული ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ კლაისტერსმა.

ავტოსპორტი

# აუდის ტრიუმფი და დიდი ავარია

საფრანგეთში გაიმართა ლე მანის 24-საათიანი ლეგენდარული რბოლა, რომელსაც წელს იუბილე ჰქონდა – მე-80-ედ გაიმართა.

საიუბილეო მარათონი, როგორც მოსალოდნელი იყო, "აუდის" მანქანების დომინირებით მიმდინარეობდა. პოული შარშანდელმა ჩემპიონმა – **ანდრე ლოტერერის, მარსელ ფასლერისა** და **ბენუა ტრელუიეს** ტრიომ მოიპოვა. კარგად დაწყებული უქმეები ამ სამეულმა შესანიშნავად გააგრძელა. მთელი 24 საათის განმავლობაში მათ მხოლოდ ორჯერ დაკარგეს ლიდერობა, მაგრამ მაინც ახერხებდნენ პირველ ადგილზე გადასვლას.

მოლოდინისამებრ, გამარჯვებული ტრიოს მთავარი კონკურენტი "აუდის" კიდევ ერთი ძალიან ძლიერი ეკიპაჟი იყო. აქ შედიოდნენ **ალან მაკნიში, დინდო კაპელო** და სახელგანთქმული **ტომ კრისტენსენი**, რომელიც ლე მანის რვაგზის გამარჯვებულია. სხვათა შორის, კაპელოსთვის ეს იყო კარიერაში ბოლო "ლე მანი".

თუმცა გამარჯვებული ეკიპაჟის უპირატესობა საკმაოდ დიდი იყო - ლოტერერის ტრიომ მაკნიშისას მთელი ერთი წრით გაასწრო. მესამე ადგილზეც "აუდის" ეკიპაჟი გავიდა **ჯერვისის, ბონანომისა** და **როკენფელერის** შემადგენლობით.

წლევანდელი "ლე მანი" კინაღამ ტრაგედიით დასრულდა. სადღაც მეექვსე საათზე "ტოიოტას" პილოტი, ამერიკელი **ენტონი დევიდსონი** საკმაოდ ნელა მიმავალ "ფერარის" ასწრებდა. იტალიურმა მანქანამ მოულოდნელად მარჯვნივ მოუხვია და ავტომობილები ერთმანეთს შეეჯახნენ. დევიდსონის "ტოიოტა" ჰაერში ავარდა და ძველი საბურავების ბარიერის დაენარცხა.

ამერიკელი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ხერხემლის ორი მალა აქვს დაზიანებული, თუმცა გონზეა და შეუძლია მოძრაობა და ლაპარაკი.



დევიდსონის მანქანა ავარიის შემდეგ

კალათბურთი



ლუოლ დენგი

# ხარები დენგს უშვებენ

ამერიკული პრესა სანდო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ "ჩიკაგო ბულზი" უახლოეს პერიოდში ტრანსფერზე დააყენებს ბრიტანელ ფორვარდს **ლუოლ დენგს**. თავისი ერთი-ერთი ლიდერის სანაცვლოდ "ბულზს" მომავალ დრაფტზე პირველ რაუნდში არჩევის უფლების მიღება სურს.

ამ გადაწყვეტილების მიზეზი გადატვირთული სახელფასო ბიუჯეტია: დენგის, **დერიკ როუზის, კარლოს ბუზერისა** და **ჟოაკიმ ნოას** წლიური ხელფასი ჯამში 56 მილიონ დოლარს უდრის. დენგის შეძენის მთავარ პრეტენდენტებად "ტორონტო" და "გოლდენ სტეიტი" მიიჩნევიან.

წარმოშობით სუდანელმა ფორვარდმა რეგულარული ჩემპიონატის 54 მატჩში საშუალოდ 15.3 ქულა, 6.5 მოხსნა და 2.9 პასი დააგროვა.

ამბები

ხელბურთი

## ქალები სერბეთმა შეიკედლა

ქალებს შორის ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი სერბეთში გაიმართება, - წერს ევროპის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი. ტურნირის მატჩებს 4-16 დეკემბერს ოთხი ქალაქი – ბელგრადი, ნიშა, ვრშაცი და ნოვი-სადი უმასპინძლებენ. იანვარში ამ ქალაქებში მამაკაცებს შორის კონტინენტის პირველობა ჩატარდა.

შეგასენებთ, რომ ქალების ტურნირისთვის ჰოლანდიას უნდა ემასპინძლა, როტერდამში დანიშნული იყო ფინალური ეტაპის წილისყრა, მაგრამ ბოლო მომენტში ჰოლანდიურმა მხარემ უარი განაცხადა ჩემპიონატის მიღებაზე, რის შემდეგაც ევროპის ფედერაციას სასწრაფოდ მოუწია მისი შემცვლელის ძებნამ.

ახლა, ჰოლანდიის ადგილს ფინალურ ეტაპზე ისლანდია დაიკავებს, წილისყრა კი 22 ივნისს მონაკოში გაიმართება.

ჰოკეი

## იაგრი ბაზარზე გავა

დაახლოებით ორი თვის წინ, ლეგენდარულმა ჩეხმა ფორვარდმა **იარომირ იაგრმა** ამერიკულ პრესასთან კომენტარში მიანიშნა, რომ მომავალი სეზონისთვის "ფილადელფიასთან" აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას.

მაგრამ, როგორც ჩანს, 40 წლის ჰოკეისტმა აზრი შეიცვალა. მისთვის კვლავაც პრიორიტეტად რჩება "მფრინავების" რიგებში დარჩენა, მაგრამ ფორვარდი თავისუფალი აგენტების ბაზარზე აპირებს გასვლას და სურს, ყველა შესაძლებელი წინადადება მოისმინოს.

გასულ სეზონში იაგრმა 74 მატჩში 54 ქულა დააგროვა.

## ნიუ ჯერსი თითქმის ბანკროტია

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გააფრთხილა "ნიუ ჯერსის" მფლობელი **ჯეფ ვანდერბიკი** იმის თაობაზე, რომ მან 14 აგვისტომდე უნდა დაფაროს კრედიტორების წინაშე არსებული დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიგა თავის კონტროლზე აიყვანს კლუბს.

თავად ვანდერბრიკი ამბობს, რომ უკვე იპოვა ინვესტორი, რომელიც კლუბის თანამფლობელი გახდება. სწორედ ამის შემდეგ დაიფარება "დევილზის" ვალები, რომელიც დაახლოებით 200 მილიონ დოლარს შეადგენს. ამასთან, 77 მილიონი უახლოეს დღეებში უნდა დაიფაროს, რადგან გადახდის ვადა უკვე რამდენჯერმე გადაიწია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384.* *ელფოსტა: leloltd@gmail.com* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608